F 325 N762

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 7, პარასკევი, 3 დეკემბერი, 1943 წ. ფასი 1 მანეთი

## დღეს ნომერში:

სტალინური კონსტიტუციის დღე (მოწინავე)
კიროვის სახელი მტერზე გამარჯვების სიმბოლოა
მაყვალა მრევლიშვილი—ბელადს (ლექსი)
ვიქტორ გაბესკირია—სოფლად (ლექსები)
სანდრო შანშიაშვილი — დრამატურგის შენიშვნები.
გ. ბუხნიკაშვილი—შემოქმედებითი ზრდის წლები
მიხეილ ჩიქოვანი — გმირის იდეალი
ელ. პოლუმორდვინოვი — მართალი მოთხრობები
ს. ჭიჭინაძე—ერთი რეცენზიის გამო
მ. კორინთელი — ვინ არის დამნაშავე (პატარა ფელეტონი).





# სტალინური კონსტიტუციის დღე

ათასცხრაას ოცდათექვსმეტი წლის ხუთი დეკემბერი უბრწყინვალეს თარიღად შევიდა ჩვენი სამშობლოს ისტორიაში. ამ დღეს კრემლში საბჭოების მერვე საგანგებო ყრილობამ ამხანაგ სტალინის მოხსენების მიხედვით მიიღო და დაამტკიცა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია, ხალხთა ბედნიერებისა და თავისუფლების დიდი ქარტია.

სტალინური კონსტიტუციის სიღრმემ, სიმართლემ და სიდიადემ აღაფრთოვანა არა მარტო ჩვენი ქვეყნის შვილები, არამედ მთელი მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი, რომლისთვისაც ჭეშმარიტად ძვირფასი იყო და არის ჭეშმარიტი დემოკრატიის ინტერესები. სტალინურ კონსტიტუციაში განხორციელებულია ის დიდი იდეალები, რომლებზედაც საუკუნეების განმავლობაში ოცნებობდნენ მოწინავე აზრის გიგანტები.

თვით საბჭოთა ხალხმა სტალინურ კონსტიტუციას უწოდა სოციალიზმის ოქროს წიგნი, წიგნი, რომელიც აღბეჭდავს საბჭოთა კავშირის მოქალაქის დიად უფლებებს და წმინდა მოვალეობებს, აღბეჭდავს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიად მონაპოვარს და სოციალიზმის გამარჯვებებს, ამასთან უზრუნველჰყოფს საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქისათვის შრომის უფლებას, განათლების უფლებას, დასვენების უფლებას, მატერიალურ კეთილდღეობას სიბერის წლებში, ქალის სრულ უფლებრივ გათანაბრებას მამაკაცთან სახელმწიფო, სამეურნეო, კულტურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

თავისუფლების ამ დიდი ქარტიის დამტკიცების შემდეგ გასული წლები იყო დიდად ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის წლები სტალინურ კონსტიტუციაში აღბეჭდილი საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის. სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე გაჩაღდა ინტენსიური შემოქმედება ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის ყველა სფეროში, განმტკიცდა და გაძლიერდა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა სტალინური მეგობრობა, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოთა წყობილების სიმტკიცის დასაყრდენს, საბჭოთა ხელისუფლების ძლიერების დაუშრეტელ წყაროს. სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნა საბჭოთა ხალხის შეუჩერებელი წინსვლა სამეურნეო და კულტურული აყვავების მწვერვალებისაკენ; მაგრამ ორნახევარი წლის წინად საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ, სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ აყვავებული ქვეყნის წინააღმდეგ თავისი სისხლიანი ტორი აღმართა ყველაზე ბნელმა რეაქციულმა ძალამ, როგორიც კი ოდესმე კაცობრიობას უნახავს, — ჰიტლერული გერმანიის მხეცურმა იმპერიალიზმმა. გერმანული ფაშიზმის ყაჩაღური ურდოები მუხანათურად შემოიჭრნენ ჩვენს წმინდა მიწა-წყალზე და დროებით დაპყრობილ რაიონებში თავისი ბინძური ჩექმით გასთელეს საბჭოთა მოქალაქის წმინდა უფლებები, შეურაცხჰყვეს ჩვენი ხალხის ღირსება, სრული ფიზიკური განადგურების წინაშე დააყენეს ყველა იმ რაიონის მკვიდრნი, სადაც-კი გერმანელმა ბარბაროსებმა და ვანდალებმა ფეხი მოიკიდეს.

მაგრამ ჰიტლერელთა გამხეცებული და გაცოფებული მრავალმილიონიანი არმია უძლური აღმოჩნდა საბჭოთა ხალხის ძლიერებისა და სიმტკიცის წინაშე. საბჭოთა ხალხის პოლიტიკურმა და მორალურმა ერთიანობამ, ხალხთა სტალინურმა მეგობრობამ გაუძლო უდიდეს გამოცდას, გაუძლო უსასტიკეს განსაცდელს. მოსისხლე მტრის ვერავითარმა დარტყმამ ვერ შეარყია საბჭოთა ხალხის სულიერი სიმტკიცე, ოდნავაც ვერ მოდრიკა მისი საბრძოლო ნებისყოფა, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადების სულისკვეთება.

პოლიტიკურად და მორალურად ერთიანი საბჭოთა საზოგადოების ყველა ფენა აღმოჩნდა დიდი პატრიოტული მოწოდების სიმაღლეზე. მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა ინტელიგენცია გაათკეცებული ენერგიით იბრძოდა და იბრძვის სტალინური კონსტიტუციის უძვირფასეს მონაპოვართა დასაცავად, საბჭოთა სამშობლოს დასაცავად, სადაც შექმნილია და მოპოვებული ყველა პირობა ადამიანის სრული მატერიალური კეთილდღეობისა და იდეურ-ზნეობრივი სრულყოფისათვის. ყოველი მათგანის შრომა სამამულო ომის ფრონტებზე და შრომა ზურგში იმდენად მნიშვნელოვანი იყო და არის, რომ მათ დაიმსახურეს დიდი ბელადისა და მთავარსარდლის უმაღლესი და აღმაფრთოვანებელი შეფასება.

საბჭოთა ინტელიგენცია, მხატვრული სიტყვისა და ხელოვნების ოსტატები, რომლებმაც სამამულო ომის მრისხანე დღეებში საქმით დაამტკიცეს თავიანთი უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი, საბჭოთა ხალხის წინამძღოლის — ლენინ-სტალინის პარტიისადმი, დიდი ბელადის, გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინისადმი, კვლავაც დაძაბავენ თავიანთ ფიზიკურ და სულიერ ენერგიას, რათა უმოკლეს ხანში გერმანელ არამზადათა ყაჩაღური ბანდებისაგან მთლიანად გაწმენდილ იქნას ჩვენი სამშობლო, — სტალინური კონსტიტუციის ქვეყანა, ახალი ადამიანის თავისუფალი და მზიური სამშობლო.

# ბელადს

## მაყვალა მრევლიშვილი

გამარჯვებაშიც, განსაცდელშიც დინჯი სიტყვებით
გულამდე ჩაგვწვდი მოწოდებით, მთავარ-სარდალო,
ურყევი რწმენით შენს სიმტკიცეს ყველგან მივყვებით,
ჭაბუკი ქვეყნის სიხიდისო და სიმართლეო.

მშვიდი კილოთი გათქმული, წმინდად არწყული,
სამშობლოს ბედი უფრო ცხოვლად გამოაშუქებს,
ძალას აოცებს შენი ხალხი და ერთა-ასხმული,
ხელებ-მოკვეთილ ავაზაკებს წამოარქვებს.

არც ერთი დედა, და და ცოლი არ დასთანხმდება,
თვისი სისხლ-ხორცი დაუბრუნდეს სირცხვილიანი,
ჩვენი ვაჟკაცი ომში წავა და გალაღდება,
შური იძიოს და მიუზღოს მტარვალს ზიანი.

ახალ-ახალი დაირხევა გმირის სახელი.
რამდენი შვილით ისახელეს ძმურმა ერებმა!
ძმად არ გვერგება, ზოგჯერ სახით არც ვართ მნახველი,
მათი საქმე კი ლვიძლ დასავით გვესახელება.

ერთი მიზანი გვასულდგმულებს, ერთი პირობა, —
საძულველ მტერზე გამარჯვების მიღწევა მალე;
შენი სახელი, შენი სახე, შენი გმირობა
უთვალავს გმირსა და უამრავს მოლვაწეს ჰბადებს:

ყალთოელი მართა ვიცი, დედა-არწივი,
სამი წელია არ უნახავს, ჯარში ჰყავს შვილი,
გოგიას სახელს შეჰხარის და ვაჟკაცივით
სახლშიც, მინდორშიც საქმეს უძღვის სახე-გაშლილი.

[illegible]

# სოფლად

## ვიქტორ გაბესკირია

### ასე სათუთად რად ეპყრობიან

[illegible]

### უქმე დღე

მალე მზე სხივებს შუკებსაც მოჰფენს,
ყველგან სინათლე და სითბო დგება.
ერთი შეხედვით ემჩნევა სოფელს —
გულის საამო მყუდროება.

მოფარებია ლობეს საზნისი,
შეუსვენია გზის პირად ურემს.
აივნებზე-კი დიასახლისნი
საბნებს, ბალიშებს ამზეურებენ.

ტკბილი ფუსფუსი აქ გასტანს დიდხანს,
დღეს ყველას კარი რჩება ღიათო.
ამ სიჩუმეში დადის ერთი ხმა:
„ჩვენებს ქალაქი აულიათო.“

# წიგნები საბჭოთა კავშირზე

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ინფორმაციის განყოფილება იუწყება, რომ ამერიკაში მეტად დიდია ინტერესი საბჭოთა კავშირის შესახებ დაწერილ წიგნებისა და წერილებისადმი, 1942 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოქვეყნებული იყო 62 წიგნი, ხოლო 1942 წლის მაისიდან 1943 წლის მაისამდე სხვადასხვა ჟურნალებში მოთავსებული იყო 392 სტატია, საბჭოთა კავშირისადმი მიძღვნილი. იმ ნაწარმოებთა რიცხვში, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად იქნა გამოქვეყნებული ან უახლოეს მომავალში უნდა გამოქვეყნდეს, არის რუსეთის ისტორია, რუს კლასიკოსთა ნაწარმოებების თარგმანები, ამერიკელი კორესპონდენტების ნარკვევები საბჭოთა კავშირზე. გამომცემლობა „ლანგარტ პრეს“ ამზადებს დიდ წიგნს „რუსული ლიტერატურის საგანძური“, რომელშიაც შევა რუსული რომანები, პიესები, მოკლე მოთხრობები, ლექსები და სხვა. გამომცემლობა „რენდომ ჰაუზი“ ბეჭდავს ახალგაზრდა ამერიკელი მწერლის პოლ ჰიუზის რომანს „უკან დახევა როსტოვიდან“. წიგნში მხატვრულად აღწერილია ფაშისტების უკან დახევა როსტოვიდან. ჰიუზმა თავისი წიგნი რუს ხალხს მიუძღვნა.

# რუსული ლიტერატურის პოპულარობა საზღვარგარეთ

ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში რაც დრო გადის, მით უფრო მეტი რაოდენობით იბეჭდება და ვრცელდება რუს კლასიკოსებისა და თანამედროვე საბჭოთა მწერლების მხატვრული წიგნები. უდიდესი წარმატება მოიპოვა ლევ. ტოლსტოის „ომმა და მშვიდობამ“, რომელიც ერთი წლის განმავლობაში რამდენჯერმე გამოიცა, მაგრამ მაინც ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნილება. უაღრესად გაიზარდა აგრეთვე ინტერესი ი. ტურგენევისადმი, რომელსაც ინგლისური კრიტიკა რუსული და დასავლეთ-ევროპული მწერლობის დამაკავშირებელ მწერლად სთვლის, ამჟამად ლონდონში ამგვარი წარმატებით იდგმება ტურგენევის პიესა „ერთი თვე სოფლად“. დიდი პოპულარობა მოიპოვეს ი. ერენბურგის „პარიზის დაცემამ“, ეგნატოვის მემუარებმა „50 წელიწადი მწყობრში“, აკადემიკოს ტარლეს წიგნმა „ნაპოლეონმა“, ეიზენშტეინის „საბჭოთა კინო-ხელოვნებამ“, ბ. ვოიტეხოვის „სევასტოპოლის დაცვამ“ და სხვებმა.

ჩვეულებრივ დიდ ტირაჟად იბეჭდება და მალე სალდება ინგლისელი და ამერიკელი ავტორების მიერ საბჭოთა კავშირის შესახებ დაწერილი წიგნები, მათ შორის სიდნეი და ბეატრისის წიგნი „სიმართლე საბჭოთა რუსეთზე“ (რომელსაც დართული აქვს ბერნარდ შოუს წინასიტყვაობა) „საბჭოთა ძლევამოსილება“ ჯონსონისა, „საბჭოებმა ეს წინასწარ განსჭვრიტეს“ ამერიკელი მწერალი-ქალის ლუიზა სტრონგისა და კოლდუელის ახალი რომანი, სადაც ასახულია საბჭოთა პარტიზანების გმირული ბრძოლა.

# კიროვის სახელი—მტერზე გამარჯვების სიმბოლოა

საბჭოთა სამშობლოს გმირულ მატიანეში სამარადისოდ აღბეჭდილია უკვდავი სახელი **სერგეი მირონის-ძე კიროვისა.** ამ დიდბუნებოვანმა ადამიანმა თავისი შესანიშნავი, ლამაზი სიცოცხლე ხალხთა მილიონების ბედნიერებისათვის ბრძოლაში გაატარა. კიროვის სახეში განხორციელებულია ყველა საუკეთესო თვისება საბჭოთა ხალხისა. იგი იყო კლასიკური სახე ბოლშევიკისა, განხორციელება ბოლშევიკური პრინციპულობისა, გამჭრიახობისა, ორგანიზებულობისა, მაღალი იდეური წრთობისა და ურღვევი ერთგულებისა **ლენინ-სტალინის** პარტიის საქმისადმი. დიდი რუსი ხალხის საუკეთესო შვილი, ლენინისა და სტალინის მეგობარი და თანამებრძოლი სერგეი კიროვი იბრძოდა სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ. მძვინვარე სამოქალაქო ომის ფრონტებზე, აღდგენის პერიოდის დაძაბულ წლებში და სტალინური ხუთწლედების, სოციალიზმის ბრწყინვალე გამარჯვების ეპოქაში სერგეი კიროვი ყველგან მოწინავე პოზიციებზე იდგა.

განუზომელია კიროვის ღვაწლი და თავდადება. განსაცვიფრებელი და წარმტაცია მისი გმირული მუშაობა, ცხოვრება და ბრძოლა. სამოქალაქო ომის წლებში ის გამოდის, როგორც სარდალი და სტრატეგი, როგორც ერთ-ერთი სახელოვანი ორგანიზატორი და პოლიტიკური ხელმძღვანელი წითელი არმიისა. როცა თეთრგვარდიელები და ინტერვენტები ცდილობდნენ დაეპყროთ ჩრდილოეთ კავკასია და ასტრახანი, ლენინმა და სტალინმა ასტრახანის დაცვა სერგეი მირონის-ძის საიმედო ხელს ჩააბარეს. კიროვმა ბრწყინვალედ შეასრულა ეს დავალება. მეთერთმეტე არმიის განმტკიცება, დენიკინის ბანდების განადგურება, აზერბაიჯანის ხალხის განთავისუფლება, ქართველი ხალხის განთავისუფლება, ხალხთა ურყევი სტალინური მეგობრობის განმტკიცება, საბჭოთა სამშობლოს ისტორიის ეს ბრწყინვალე თარიღები განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ კიროვის სახელთან.

პარტიამ კიროვს ლენინგრადის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობა დააკისრა. ლენინგრადში კიროვმა შეუბრალებლად ამხილა და გაანადგურა ტროცკისტულ-ბუხარინული ბანდიტები. შესანიშნავი მებრძოლის და მშენებელი შემოქმედის სერგეი კიროვის დაუღალავმა მზრუნველობამ ლენინგრადი სოციალისტური ინდუსტრიის უძლიერეს ბაზად გადააქცია. ლენინის ქალაქის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება უშუალოდ დაკავშირებულია კიროვის სახელთან. ფოლადის სტალინელი სერგეი კიროვი დაუცხრომლად, უდიდესი შემოქმედებითი დაძაბულობით და ბოლშევიკური გატაცებით ზრუნავდა წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძლიერების განმტკიცებისათვის, საბჭოთა სამშობლოს საზღვრების დაცვისათვის. მისი გული საბჭოთა უამრავი პატრიოტის გულთან ერთად სძგერდა. ნამდვილი მგზნებარე ტრიბუნი სერგეი კიროვი მშრომელთა მილიონების სიყვარულით გარემოსილი იყო.

კიროვი ნათლად ხედავდა, რომ ვიდრე არ განადგურდებიან გაველურებული ბანდები ფაშიზმისა, მანამდე კაცობრიობა ვერ დაისვენებს. ამიტომ დიდი პატრიოტი სერგეი კიროვი რაზმავდა ჩვენს რიგებს გაცოფებული მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. კიროვი თავისი დაუცხრომელი ბრძოლით და მუშაობით აღვიძებდა და აძლიერებდა უსაზღვრო სიყვარულს და ერთგულებას სამშობლოსადმი, აღვიძებდა და აძლიერებდა უსაზღვრო სიძულვილს გაცოფებული მტრისადმი.

ცხრა წლის წინად, პირველ დეკემბერს, მთელი ჩვენი სამშობლო შეაძრწუნა სამწუხარო ამბავმა. ტროცკისტულ-ბუხარინული არამზადების, გერმანული ფაშიზმის ლაქიების ბინძური ხელით დაიღუპა მგზნებარე სახალხო ტრიბუნი სერგეი კიროვი.

დღეს, როცა საბჭოთა ხალხი უმაღლესი მთავარსარდლის, დიდი სტალინის მეთაურობით ანადგურებს ფაშიზმის ურდოებს, როცა [illegible] სილი წითელი არმია ანთავისუფლებს ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალს მტრის ბანდებისაგან, ჩვენი გმირების თავგანწირულებაში, საბჭოთა ადამიანების სიმტკიცესა და თავდადებაში, საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ფოლადისებურ მთლიანობაში, ფრონტისა და ზურგის სახელოვან საქმეებში კვლავ სცოცხლობს უკვდავი სახე კიროვისა.

კიროვი მუდამ იბრძოდა ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის განმტკიცებისათვის, იმ მეგობრობის, რომელმაც ულეველი ძალა მისცა ჩვენს ქვეყანას, უკუაქცია ჰიტლერულ ურდოების შემოსევა. კიროვი ამბობდა: „ჩვენ კვლავ უნდა დავადასტუროთ ჩვენი მთლიანობა, ჩვენი ძმური ერთიანობა, მე ვიტყოდი—წმინდა კავშირი. ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ კავკასიის მთები მარტო სილამაზეს კი არ შეიცავენ, ამაყი კლდეების ეს წყება გადაიქცევა იმ მძლავრ ზღუდედ, რომელზედაც დაიმსხვრევიან რეაქციის მთელი ძალები“.

კიროვის ეს სიტყვები მჭერმეტყველურად დაადასტურეს იმ ბრძოლებმა, რომლებიც შარშან გაიმართა კავკასიის მთაგრეხილის მისადგომებზე. ამ ზღუდეზე, ამ მისადგომებთან ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ გაანადგურა ფაშისტური ურდოების შემოსევა და ამიერ-კავკასიის ხალხები სასიკვდილო საფრთხეს გადაარჩინა. სტალინური მეგობრობით გაერთიანებულმა კავკასიის ხალხებმა საბჭოთა კავშირის სხვა ხალხის შვილებთან ერთად, დიდი რუსი ხალხის მეთაურობით, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს კავკასიის დაცვისათვის წარმოებულ ისტორიულ ბრძოლებში ჰიტლერელი მტაცებლების წინააღმდეგ.

კიროვის საყვარელი სახელი სიმბოლოა სამშობლოსათვის თავდადებული ბრძოლისა, მტრისადმი სიძულვილისა, ბოლშევიკური შეუდრეკლობისა. კიროვის სახელი მტერზე გამარჯვების სიმბოლოა.

# საბჭოთა ფილმი „რაიკომის მდივანი“ ამერიკასა და ინგლისში

საბჭოთა კინოფილმს „რაიკომის მდივანს“ დიდი წარმატება ხვდა ამერიკის კინოთეატრების ეკრანზე. ფილმი მიდიოდა შემდეგი სათაურით: „ჩვენ კვლავ დავბრუნდებით“.

ფილმს დიდი წარმატება ხვდა აგრეთვე ინგლისშიც, სადაც მას უჩვენებდნენ „რუსი პარტიზანების“ სახელწოდებით. „სანდეი ქრონიკლი“ სწერს: „ეს შესანიშნავი ფილმი შექმნილია უდიდესი ტექნიკური ოსტატობით“.

„დეილი ექსპრესი“ შემდეგნაირად ახასიათებს ხსენებულ სურათს: „ფილმი ასახავს მრისხანე ბრძოლას გერმანელთა ზურგში, ბრძოლას, რომელიც ასე ემარჯვებათ რუსებს. იგი სავსეა სიმართლით; მასში დიდი სიცოცხლეა“.

„დეილი უორკერი“ სწერს: „რუსი ხალხის ბრძოლა ნაცისტების წინააღმდეგ ამ ფილმში დაუვიწყარი ძალით არის ნაჩვენები. ეს ფილმი განამტკიცებს ჩვენს სურვილს მოვახმაროთ მთელი ჩვენი ძალღონე ფაშიზმის მოსპობას. ფილმის გმირები ჩვენს სიყვარულსა და აღტაცებას იწვევენ“.

# დრამატურგის შენიშვნები

სანდრო შანშიაშვილი

[illegible]

(„ლიტ. და ხელოვ." მე-2 გვ.)

# მხატვრების საფრონტო ალბომიდან



კაპიტანი ი. ზოდელავა. ნახ. უ. ჯაფარიძისა.



უფ. ლეიტენანტი მ. კვარაცხელია ნახ. უ. ჯაფარიძისა



კაპიტანი ა. მახარაშვილი ნახ. ა. ქუთათელაძისა

ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატიული თეატრის ათი წელი

# შემოქმედებითი ზრდის წლები

გ. ბუხნიკაშვილი

ნოემბერში შესრულდა ათი წლისთავი მას შემდეგ, რაც პირველად აიხადა ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატიული თეატრის ფარდა. ეს თარიღი მნიშვნელოვანია საბჭოთა საქართველოს თეატრალური კულტურის განვითარების ისტორიაში, რადგან ა. გრიბოედოვის თეატრს ღირსეული ადგილი უჭირავს ჩვენი მოწინავე თეატრების რიგებში.

რუსული თეატრის არსებობა საქართველოში შორიდან იწყება და მას საკმაოდ შინაარსიანი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, თბილისში უკვე არსებობდა რუს სცენის მოყვარეთა თეატრი.

თბილისის რუსულ თეატრში ყოველთვის აქტიურად რუსი არტისტული ძალები იღებდნენ მონაწილეობას. გარდა ამისა, საგასტროლოდ თბილისში მუდამ ჩამოდიოდნენ რუსული თეატრის უნიჭიერესი მსახიობები, რომელთა შორის საკმარისია დავასახელოთ ფედოტოვა, [illegible]

[illegible]

მატებასაც მიაღწია. საქართველოში რუსული თეატრის განვითარება ჩვენი თეატრალური კულტურის განუყრელ ნაწილად გადაიქცა.

ხოლო 1933 წელს ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატიული თეატრის დაარსებით უკვე მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა რუსული თეატრის ზრდას საქართველოში.

[illegible]

და ქართულ თეატრთან და ქართულ საზოგადოებრიობასთან. იგი მუდამ ეხმაურებოდა ქართული კულტურის ღირსშესანიშნავ თარიღებს. თეატრმა გამართა, მაგალითად, ი. ჭავჭავაძის და ა. წერეთლის საიუბილეო საღამოები.

თეატრმა განახორციელა ქართულიდან [illegible]

[illegible]

[illegible] შეასრულეს და გაიწრთვნენ ჩვენი თეატრის განვითარების ამ ხანის თვალსაჩინო ოსტატები: ვ. შალიკაშვილი, ა. წუწუნავა, ა. ფაღავა.

რუსული და ქართული თეატრების ურთიერთობა უკვე მტკიცე ძმურ კავშირად გადაიქცა 1921 წლის შემდეგ, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე იწყო წინსვლა ქართულმა თეატრალურმა კულტურამ და უდიდეს წარ-

[illegible] „ეგორ ბულიჩევი", „ფსკერზე", „მზის შვილები", „მდაბიონი", „უკანასკნელნი", „ბარბაროსები", „ვასა ჟელეზნოვა".

დიდი ადგილი ეჭირა აგრეთვე რუსულ კლასიკურ დრამატურგიას.

ათი წლის განმავლობაში თეატრს სულ გაუმართავს სამი ათასამდე წარმოდგენა.

მუშაობის პროცესში ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრს მუდამ მჭიდრო კავშირი ჰქონ-

[illegible]

გრიბოედოვის სახელობის თეატრი პარტიისა და ხელისუფლების მუდმივი მზრუნველობით არის გარემოსილი.

ა. გრიბოედოვის თეატრი გადადის თავისი არსებობის მეორე ათეულ წელში და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ეს მეორე ათეულიც მდიდარი იქნება შემოქმედებითი მიღწევებით.

# ლ. ლეონოვის „ლიონუშკა" გრიბოედოვის სახელობის თეატრში

ლ. ლეონოვის ახალ პიესაში „ლიონუშკა"-ში დიდი დამაჯერებლობით და გზნებით არის გამოქანდაკებული საბჭოთა ხალხის სულის სიდიადე, მისი საყოველთაო უძლეველი სიძულვილი მტრისადმი. „ლიონუშკა" დაწერილია ჩვენი დრამატურგიისათვის უჩვეულო ჟანრით—იგი ხალხური ტრაგედიაა. ამ ჟანრის სირთულემ, [illegible]

[illegible] ხალხის სულის სიდიადე უმაღლეს აშკარავდება ამ სცენაში—ყველანი ამაყად დგანან რაღაც საზეიმო და მრისხანედ გამომეტყველნი, გამზადებულნი—გასწირონ თავიანთი სიცოცხლე საყვარელი სამშობლოსათვის.

და აი აქ უკვე ნაჩვენები უნდა ყოფილიყო სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, პახლომბკინა [illegible]

[illegible] ჰყრია ველებზე. პოტაპიჩი მუდამ თვალებში შესცქერის: რას შვრები, შურს არ იძიებ ჩემთვის, მაქსიმიჩო?

საჭირო სიღრმეები გამონახა ბოდროვმაც საზიზღარი გამცემის სტეფან დრაკინის დახატვაში. იგი სიმართლით გადმოგვცემს ამ ვერაგი ადამიანის გასაოცარ სიცრუეს და [illegible]

[illegible]

ტ. შაროევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გმირის იდეალი

**მიხეილ ჩიქოვანი**

ხალხმა საუკუნეთა განმავლობაში მტკიცე ზნეობრივი ნორმები შექმნა. შეხედულებები ადამიანთა ურთიერთ დამოკიდებულებაზე, სამყაროზე; კეთილსა და ბოროტზე, კარგსა და ცუდზე, მახინჯსა და მშვენიერზე — ყველა ღრმა განცდისა და დაკვირვების შედეგი არის. ხალხს მეტად მახვილი, შორს მჭვრეტი თვალი აქვს. მას არაფერი დაემალება, არც გამოეპარება გონიერ არსებათა ეს უზენაესი კრეატული ღრმა ფილოსოფიური განსჯისა და მაღალი პოეტური აღმაფრენის მქონე.

ამიტომ არის, რომ ზეპირი შემოქმედების კლასიკური ნიმუშები ყოველთვის გვიზიდავს, გვიზიდავს და გვამაღლებს. აქედან მოედინება არა მარტო სიტყვიერი ოსტატობა, პოეტური გულწრფელობა და სიყვარული, არამედ ფშიური სიდინჯეც, ლაღ მდინარესავით ბრწყინვალე ამბავი და კაცობრიული იდეებით მძლედ დატვირთული გმირები.

ხალხის სულიერი მოძრაობა, მიზანი და მისწრაფება არსად ისე სრულხმიანად და ნათლად არ მოსჩანს, როგორც ეს მის პოეზიაში, სიტყვიერებაში. ამიტომ იყო, რომ დიდი ლენინი, ლიტერატურის ისტორიკოსების ყურადღებას ხალხის სიტყვიერებაზე მიაქცევდა, მოითხოვდა მის განზოგადოებას და სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით განხილვას. მართლაც, სად არ სწვდება სახალხო მგოსნის თვალი, რას არ მოისმენს მისი ყური; როგორ არ აძგერდება მღელვარე გული, რას არ იხილავს მისი სალი გონება და როგორ ფერებში, სახეებში არ აჰქანდავს და აცოცხლებს სინამდვილეს, ცხოვრებას თვისას და სხვისას.

პირველი საწყისი უძვირფასესი იდეა, რომელიც ქართულ პოეზიას თავიდან ბოლომდე გასდევს — ეს თავისუფლებისადმი ტრფიალი არის. თავისი იდეალის განხორციელებისათვის ხალხმა საუკუნოებრივ გმირთა დასი შექმნა. როგორი გმირი მოსწონს ხალხს? რა სახე სძევს ასეთ პირს?

ქართული ხალხური პოეზია მრავალნაირ გმირს იცნობს, ანუ უკეთ გმირთა სხვადასხვა იდეალის განსახიერებას. მის გამტარებლად გვევლინება. საზოგადოებრივად ფასეული იდეალის განხორციელებელი პიროვნება ღირსეულ გმირის სახეს ჰქმნის.

ქართულ ფოლკლორში მრავალი სხვადასხვა მასშტაბის გმირი, „კაი ყმა“ მოიპოვება. ხალხისათვის თავდადებულთა ერთ წყებას ტომობრივი შეიძლება ვუწოდოთ, მეორე—ეროვნული, საერთო ქართული. ტომობრივი არის, მაგალითად: მამუკა ქალუნდაური, ხირჩლა, მთრეხელი, ვიცბილი და მაცბილი, სიმონა დარჩია, გიგა და გოჩა; ეროვნული, საერთო ქართული: პატარა კახი, არსენა ოძელაშვილი, ზეზვა გაფრინდაული, უფრო შორეული ხანიდან კი — ამირანი, ცამცუმი, იახსარი, ტარიელი, ივანე ცის კარი, ხოგაის მინდი, აბესალომ და ეთერი, თავფარავნელი ჭაბუკი.

ტომობრივი გმირი თემიდან გამოდის და მას ემსახურება. მისი მაღალი ზნეობა და საარაკო საქმენი მშობლიურ კუთხეს დასტრიალებს თავს. ასეთი ჭაბუკის მიზანი თავისი კუთხის ნამუსიანი და ლაზათიანი ყოფა, ქალის და კაცის უშიშროება არის. მის მოქმედებას და ზნეობრივ მხარეს მშობელი ტომი განსაზღვრავს. „კაი ყმა“ თავისი ტომის, გვარის ტრადიციას ასრულებს. მამაპაპათა ჩვეულებას იცავს მტრობასა და მოყვრობაში. საზაფხულო საძოვარზე თავისუფლების მოყვარე ფშაველმა მწყემსებმა თორმეტი ფარა გაშალეს. კუნტრუშობს ბატკანი, ახლად წუნიანად მიაბიჯებს რქებაყრილი ყელმაღალი ცხვარი, ბამბასავით გადაპენტილი ცხვარი მადიანად ძოვს, ვერცხლისფერ ტალღასავით წინ მიიწევს... კმაყოფილია მთიელი თავისი ცხოვრებით. მაგრამ, არ სძინავს ბოროტებას. უცბად მეკობრეები გამოჩნდნენ: „ასტეხეს თოფის ქუხილი, ადინეს სისხლის ღვარი“. დადგა ჟამი გამირისა. აქამდე უწყინარი მწყემსი, მუდამ თავდაბალი და ჩუმი, სწრაფად ძალას მოიკრებს. ვეფხვს დაემსგავსება და ამხანაგებისათვის, თემისათვის შურს იძიებს მამაპაპურ წესზე. გიორგიმ შვიდკეცი შვიდი მხარი მათრახი ლურჯას გადაჰკრა და შემოსულ მტერს მარტომ შაუკრა გზანი.

„შვიდი შასწირა გიგასა:
— იყავით იმის ყმანია,
იმ გრძელსა სოფელს გაჰყევით
ლიტრით უზიდეთ წყალია;
თითო შასწირა მწყემსებსაც —
— უკან უბრუნეთ ცხვარია,
თითო შასწირა ფარეხსა
— დახვეტეთ გომის კარია;
თითო ძაღლებსაც შასწირა
— უკადეთ სალაფავია,
შვიდი თვითონაც 'იმდოლა'
— მეც მამინდება ყმანია“.

დადგა ჟამი და უბრალო მწყემსი გმირად იქცა. ფშაველი უკუყმანოდ მკერდით წინ აღუდგა მოზღვავებულ მოძალადეს, სხვისი შრომით მოქეიფეს, და ძვირად დაუსვა მზაკვრული ლაშქრობა, თავხედობა. გიორგიმ შური იძია ამხანაგებისათვის: „შვიდი შასწირა გიგასა“. ამასთანავე სარქალი, ცხვარი, ფარეხი, — ყველა სათითაოდ ჰაიხსენა. ძაღლებიც კი არ დაივიწყა. აი, ეპყრობა ფშაველი გმირი. ქართველი შრომელი სამტროდ მოსულს, გამძარცველსა და მძარცველს.

უფრო ფართო დიაპაზონის მქონეა ეროვნული გმირი. რომელიც თავისი მხრით ტომობრივ გმირის განვითარებულ სახეს წარმოადგენს. ეროვნული გმირის ასპარეზი ერთი კუთხე არ არის, მისი მიზანი ერთი ტომის დაცვა არ არის; ის მთელ ხალხს, ერს ემსახურება და საჭიროების დროს თავს სწირავს დაუნანებლად. ასეთი გმირი ერის ერთგული დარაჯია. უძველესი ქართული ეპოსიც მკვეთრად ატარებს ამ კაცობრიულ იდეალს. ამირანმა გაიგო, რომ ქვეყანას დევი შემოესია, და „ხალხს აწიოკებს, ბეგარას ახდევინებს“. ბუმბერაზმა მაშინვე მოძალადე დაამარცხა და თვისტომთ მონობის ბორკილები აჰყარა. მადლიერი მშობელი არ ივიწყებს ამ კარგ ქართველს: „ხალხი დიდი სიხარულით და ქებით შეხვდა გამარჯვებულ ამირანს“. უფრო ამაღლებელი ტონით მოუთხრობს მთქმელ-ეპიკოსი აბრსკილის ამბავს. „აბრსკილმა ჩქარა მოიპოვა სახელი მთელ აფხაზეთში თავისი გულადობით და ვაჟკაცობით, ქვრივ-ობოლთ და დაჩაგრულთ მფარველობით... ვერც ერთი მტერი აფხაზეთისა აბრსკილის შიშით ვეღარ გაბედავდა აფხაზეთის მთა და გორი გადაელახა თავისი ფეხით... მტერთა მახვილნი თავისავე ქარქაშში იჟანგებოდა.. აბრსკილის დროს ტურფა აფხაზეთი მისი ძლიერებით მტრების შემოსევა-დარბევისაგან დაფარულ-დაცული ჰყავოდა და სიგრძე-სიგანით იზრდებოდა“.

ასე მტკიცე ფარად ეფარება ეროვნული გმირი თავის ხალხს, იცავს მას გარეშე მტერისაგან. შიგნით კი სამართლიანობას ამყარებს და ყველას ავკარგიანად გაიკითხავს. გმირი ერის დიდებაა მისი სახელის ამაღლებელი და მაქებარი. ხალხი, როგორც სიადაგი მცენარეს ისე ასაზრდოვებს თავის გმირს. მადლიან ძუძუს არ აკლებს და მობიბინე ჯეჯილივით შეჰხარის.

ხალხური პოეზია გმირის რაინდული თვისებების დაუწერელ კოდექსს წარმოადგენს. სასიმღერო ლექსები სენტენციურ ფორმაში გვაწვდის სხვადასხვა აუცილებელ ვაჟკაცურ თვისებას.

„ვაჟკაცსა გული რკინისა —
აბჯარი თუნდა ხისანი;
თვალნი ქორებულ მხედავნი,
ზედ მუხლნი შავარდნისანი“.

გმირი გულმაგარი და უშიშარია, თვალი ქორივით გამჭვრეტი აქვს, ხოლო მუხლი მგლისა. ის არასოდეს არ ჰკარგავს სულიერ სიმშვიდეს, მუდამ ფხიზლობს, თვალი საზღვრისკენ უჭირავს, საფრთხე ხომ არაფერი მოსჩანს! ამის გამო:

„კაი ყმა ლაშქარს მოკვდების
სწორების მჯობინობასა.
ცუდაი — საცხვრის ყურესა,
ქალებში ლოგინობასა“.

დიდსულოვნობა და სიდარბაისლე ყველგან ნაქებია. ქართველ ხალხს მკვეხარა და ცერცეტა ადამიანი არ მოსწონს; ვაჟკაცს ომში გულადობა, ამტანობა, ძალა და ნების სიმტკიცე მოეთხოვება, სახლში კი თავდაბლობა და მოთმინება უხდება.

„ღვინო კი მათრობელი სჯობს,
ძაღლი თეოზე მყეფარი;
ვაჟკაცი დინჯი სჯობია,
რო გაჭირდება მჭექარი;
ჩალად არა ღირს ვაჟკაცი
დიაცთ მიმყოლი, მკვეხარი“.

შინაგანი მორალური სიმტკიცე და ნათელი რწმენა კაცს აამაღლებს, საარაკო საქმეს ჩაადენინებს და საუკუნოდ უკვდავჰყოფს. მშიშარა კაცი სამშობლოს ვერ გამოადგება. დიდი ჰუმორიული გრძნობითაა განწყობილი ხალხი მშიშარებისა და უკანწევიათა მიმართ: კაიყმის ცოლი ტიროდა — აღარ მომივა მონაო, ილინის ცუდაის ცოლი გამაიქცევა შინაო. იმაზე დამცირებული და მოღალატური აღარაფერია, როგორც მტერზე ზურგის შექცევა და სწორების მიტოვება. ხალხური პოეზიის რაინდულ კოდექსის მიხედვით ასეთი უღირსი პირი საქვეყნოდ ისჯება და იქოლება. „გამოქცეულის მოსვლასა არ-მოსვლაი სჯობს შინაო“. ქადაგებს ხევსურული ლექსი.

გმირი შეიძლება შეეწიროს იდეალს, თავი დასდოს თავისუფლებისათვის. მაგრამ ასეთ პირზე არ ითქმის რომ ის მკვდარი არის. ისტორიული პირი ლეგენდარულ გმირად იქცევა და თაობიდან თაობაზე გადადის მისი საქმენი საგმირონი, სახელი და დიდება. ასეთი არის ჯერ არა შორეული წარსულის ბუმბერაზი — არსენა ოძელაშვილი. აქ აღმოსავლელი გულდია გლეხის შესახებ სიტყვას ვასილ ბარნოვს მივსცემთ: „მარაბდის მცხოვრები გლეხი. ბარათაშვილების ყმა, როგორც მთელი მარაბდაც, ძველის-ძველი სოფელი ალგეთის პირას, აბრამ ბარნაველის ხელით მონათლული, მისი შვილის იაკობის მეგობარი, მცხეთასთან ტყვიით განგმირული არსენა, რომლის საფლავს დაუცხრომელ ნანას ეტყვის მტკვარი, დღეს საზღაპრო არსებად არის გარდაქმნილი, ხალხის სათაყვანებელ ბუმბერაზად“.

ხალხი გმირს თავისი დროის ყველა საუკეთესო თვისებით აღჭურავს, შეამკობს და თუ ის ბრძოლის ველზე დამარცხდა და მოკლულ იქნა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მისი საქმეც დაიღუპა. არა, არსენა ოძელაშვილს უხეშმა, ცბიერმა ტყვიამ მუხლი მოუსერა, მაგრამ მისმა მართალმა საქმემ მაინც გაიმარჯვა. ამ მრომელი გლეხობა აღსდგა, გაერთიანდა, თავისუფლება მოიპოვა. ამ იდეალთან ერთად ცოცხლობს არსენა. ჩვენი გმირი არსენა, და ასეთია ყველა ჭეშმარიტი სახალხო გმირის ისტორიული ბედი.

ძმა ძმისთვის და შავი დღისთვისო, შეგვაგონებს ხალხური სიბრძნე. ეპიური გმირი მარტო არასოდეს არ არის. მას მხარს უმშვენებს მისებრთა პლეადა, ძმად-ნაფიცები. უმცროსი ძმა სატრფოსათვის ცეცხლოვან ორმოში ჩაეშვება, იქ სათნოების წყაროს — მზეთუნახავებს იპოვის და მორიგეობით ამოუგზავნის თავის ამხანაგებს, ჭირის მოზიარეთ. ჭაბუკი სამართლიანია: მას არ უყვარს ბაქიობა, ზედმეტი ქონება, და მისი ამხანაგების დარად ცხოვრობს. ლადებითი ფოლკლორული გმირები არასოდეს სიმდიდრისათვის, მისი გაყოფისათვის არ იბრძვიან, მათი მიზანი თავისუფლება და მოძმის დახსნა არის.

„ძმათ-ნაფიცისთვის სიკვდილი
სათემოდ შესამღერია,
მკერდ-ჩანგრეულის სახელი
სამთხის კარზედ სწერია“.

ხალხური პოეზია მოყვასისადმი დიდი სიყვარულით არის გამსჭვალული. საუკეთესო ლირიკული ლექსები და ბალადები მიძღვნილი არის ვეფხვებთან მეომარ ჭაბუკთადმი. დედა შვილის გმირობით გამხნევებული მწუხარებას თოარაანთ ქვრივისებური ცეცხლით გადაიტანს და მხნეობს, რადგან: ერთი შვილი მაინც გაზარდა ვეფხვებთან მეომარია.

ხალხი ბოლომდე ერთგული რჩება თავის გმირისა. მოსწონს მისი სიცოცხლეცა და ვაჟკაცური სიკვდილიც. თუ მტრის ულმობელი ხელი გმირს საწუთროს მოუსწრაფებს, მშობელი ერი მას დიდებული ტირილით გამოიგლოვს; მაშინ გლოვის მგოსნები მხატვრული სიტყვით ქვეყანას მოუთხრობენ მის ვაჟკაცობას, სიდარბაისლექველობასა და ახოვანებას.

გმირს ხალხი ჰქმნის, იგი ასაზრდოვებს მას, როგორც დედამიწა მცენარეს. თავის მხრით გმირი ხალხის იდეალს, მის ნებასურვილს ანხორციელებს. ამყარებს თავისუფლებასა და სამართლიანობას.

ასეთი იყო და არის ქართველი ხალხის წარმოდგენა გმირის შესახებ. ასეთი ლეგენდარული სიმტკიცე და ვაჟკაცობა აღზარდა დღესაც ქართველმა ხალხმა თავის გმირებში. რომელნიც მამაცად იბრძვიან დღეს სამამულო ომის ფრონტზე, ჩვენი გმირები რომელნიც აღზრდილნი არიან ხალხის მიერ და რომელნიც ანადგურებენ ფაშიზმის ველურ ურდოებს, საბჭოთა ხალხის ღირსეული შვილები არიან. აღჭურვილნი და დაჯილდოვებულნი იმ სულიერი სიდიადით, იმ ვაჟკაცური ძლევამოსილებით, რომელსაც მარად, მთელი საუკუნეების განმავლობაში, უმღეროდა და დღესაც უმღერის ხალხური პოეზია.

# გალაკტიონ ტაბიძის საღამო

ორშაბათს, 29 ნოემბერს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში შესდგა საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 50 წლისა და ლიტერატურული მოღვაწეობის 35 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

საღამო გაიხსნა შალვა დადიანის შესავალი სიტყვით. მოხსენება თემაზე „გალაკტიონ ტაბიძე და ახალი ქართული პოეზია“ გააკეთა ამხ. ბესო ჟღენტმა.

კანონიერი სიამაყის გრძნობით — სთქვა მომხსენებელმა, — ვითვალისწინებთ და ვაფასებთ ჩვენ ახლა იმ არაჩვეულებრივად რთულსა და მდიდარ შემოქმედებითს გზას, რომელიც განვლო პოეტმა მეოცე საუკუნის გარიჟრაჟიდან ჩვენს გმირულ დღევანდელობამდე და რომლის მანძილზეც მან მრავალი მაღალი შემოქმედებითი წარმატებით გაამდიდრა მშობლიური ლიტერატურის ძვირფასი საგანძური.

ღრმა სევდასა და განწირულებასთან ერთად რომლითაც საერთოდ გამსჭვალულია გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელი პოეზია, ჩვენ იშვიათად როდი ვხვდებით სტრიქონებს, ღბეჯილის რწმენით და სასიცოცხლო მისწრაფებებით. უეჭველია, რომ პოეტის მახვილ ყურთასმენამდე მაინც აღწევდა ხმა იმ შინაგანი გუგუნისა, რომლითაც სოციალური სინამდვილის სიღრმეში გროვდებოდნენ რევოლუციის ახალი მამოძრავებელი ძალები.

პოეტის შემოქმედების ახალი ეტაპის შესახებ მომხსენებელი ამბობს:

წრფელი პათოსით ამღერებულ მის ლექსებში აელვარდნენ ოქტომბრის რევოლუციის გენიალური ბელადების — ლენინისა და სტალინის დიადი სახეები. მან ერთერთმა პირველთაგანმა მთელ საბჭოთა პოეზიაში [illegible] მოეცა დიდი სტალინის პოეტური პორტრეტი.

პოეტი მთელი სიმძაფრით გამოეხმაურა სამამულო ომის თემატიკას.

როგორც კი ჰიტლერული ათასრის სისხლიანი ტერორი [illegible] ჩვენი ქვეყნის სიცოცხლისა და თავისუფლების წინააღმდეგ, გალაკტიონ ტაბიძის პოეზია მგზნებარე საბრძოლო მოწოდებად, ახალი საგმირო საქმეებისათვის აღგზნებულ ვაჟკაცურ ჰანგებად იქცა.

სამშობლოსათვის თავდადების გმირული სულით არის ეხლა შთაგონებული გალაკტიონ ტაბიძის ლექსის ყოველი სტრიქონი, იგი ჰიტლერულ ტირანიაზე საბოლოო გამარჯვების მოახლოებულ დიად დღეს უმღერის და ადიდებს.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სახელით აკად. კ. კეკელიძე, წითელი არმიის ნ ქვედანაყოფის სახელით მაიორი გ. ტატიშვილი, საქართველოს საბჭოთა მწერლების სახელით პოეტი გ. ლეონიძე, სომხეთის მწერლების სახელით გ. ბორიანი, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახელით ა. ვასაძე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და სტუდენტთა სახელით დ. გამეზარდაშვილი, თბილისის პიონერთა სახელით მისასალმებელი ლექსები წარმოსთქვეს მ. სტურუამ და გ. ასათიანმა.

ლექსები წაიკითხეს პოეტებმა: ა. აბაშელმა, ვ. გაბესკირიამ, ა. თევზაძემ, გ. ქუჩიშვილმა, კ. ბობოხიძემ, გ. ცეცხლაძემ, რის შემდეგ ლექსები წაიკითხა გალაკტიონ ტაბიძემ, რომელსაც დარბაზი მქუხარე ტაშით შეეგება.

სალიტერატურო ნაწილის დამთავრების შემდეგ შესდგა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ა. ვახაძემ, ე. სოხაძემ, ნ. ცომაიამ, პ. ამირანაშვილმა, ბ. კრავეიშვილმა, პ. კობახიძემ, თ. ბაქრაძემ, ს. ყანჩელმა, ნოდარ ჩხეიძემ.



პოდპოლკოვნიკი კ. მანაგაძე—ნახატი უჩა ჯაფარიძისა. საფრონტო ალბომიდან.

# მართალი მოთხრობები

**ელიზბარ პოლუმორდვინოვი**

## სიხარული

უკვე დანგრეული და აწიოკებული ქალაქის მახლობლად გერმანელებმა ბრძოლა წააგეს. ცეცხლი ადევდა გაქცეულებს და სიკვდილის პირას ეწეოდა მათ. ქალაქში-კი ნაბრძოლი დროშებით შედიოდნენ წითელი არმიის მძვინვარე და გულდათუთქული მეომრები.

ქალაქის მთავარ ქუჩაზე ერთ-ერთ ასეულს წინ მიუძღოდა ახალგაზრდა ლეიტენანტი. იგი დაჟინებით შესცქეროდა ყოველ შენობას, ყოველ ფანჯარას, ყოველ ქვასაც-კი. ბრძოლით მოქანცულ სახეზე ღიმილის სინათლე ელვასავით გადაურბენდა და ისევ პირქუშად ეკვროდა შუბლი. მძლავრად უცემდა გული: ამ ქალაქში დაიბადა და აქვე დავაჟკაცდა. შედიოდა როგორც განმათავისუფლებელი, მაგრამ დანგრეულ სახლებს რომ ხედავდა, გული უკვდებოდა.

— ცოცხალია თუ არა ჩემი ცოლი და შვილი?—ფიქრობდა ის.—ჩემი პატარა გოგონა. ჩიტივით გულისა და ვარსკვლავივით წმინდა სახისა. ყუმბარებმა ხომ არ ჩამარხეს ამ ნანგრევებში?

მოდიოდა შემოდგომის წვიმა. ღრუბლები დაბლა ეშვებოდნენ. ტყვიისფერი ცა ხუთავდა მიწას. მიმოანგრეულ შენობებს შემოჰგლეჯოდათ სახურავები და წვიმის სადენი მილები. კედლებზე ცრემლის ღვარქაფივით იღვენთებოდა წვიმა.

შუა ქუჩაში გუბეებით სავსე ქვაფენილზე ნელი ნაბიჯით მოდიოდა პატარა გოგონა. უგუნებოდ ადგამდა ტიტველა ფეხებს. გაწყალებოდა ცისფერი კაბა, შემოხეოდა. ალაგალაგ სიცივისაგან გალურჯებული სხეულიც-კი მოუჩანდა. აწვიმდა პატარა ქერათმიან თავზე. მისი ნორჩი პირისკანი ამას თითქოს არ გრძნობდა. მხოლოდ ცრემლებივით ჩამოსდიოდნენ წვიმის წვეთები შეციებულ ლოყებზე.

ლეიტენანტი ოც ნაბიჯზე-ღა იქნებოდა ამ გოგონასაგან.

ბავშვი შეჩერდა. თვალები დააშტერა სუნთქვა შეეკრა. მერე მთელი სახე ღიმილად გადაექცა. თვალებში სიხარულის ნაპერწკლები აუწკრიალდნენ და ზარდაცემულმა დაბალი ხმით თავისთვის წარმოსთქვა:

— მამა!

და იმის ნაცვლად, რომ გაქანებულიყო და მისკენ მიმავალ მამას გაწვდილ მკლავებში ჩავარდნოდა, მკერდში ჩაჰკროდა, ელვის სისწრაფით შეტრიალდა და ქუჩის სიგრძეზე გაიქცა.

— მამა ჩემი მოდის! მამა ჩემი მოდის! — გაჰკიოდა იგი გზაში.

გახარებული გოგონა მირბოდა, რომ დედისათვის მამის მოსვლა ეხარებინა. ასე იცოდა წინათაც, ვიდრე ომი დაიწყებოდა. ეზოს კარიდან შენიშნავდა შინისაკენ მიმავალ მამას და მაშინვე დედასთან მახარობლად მირბოდა. რამდენი ხანია უკვე გოგონას აღარ წამოუძახნია ეს ერთ დროს ჩვეული და საყვარელი სიტყვები..

და გოგონამ ეზოსთან მიირბინა, ოთახის წაქცეულ კარს შეაშტერა თვალები და ხმა ჩაუწყდა, ვეღარ წარმოსთქვა „დედა, მამა ჩემი მოდისო“. ბავშვს მუხლები ჩაეკეცა. დიდმა სიხარულმა დაავიწყა, რომ დედა აღარა ჰყავს, ის ხომ გერმანელებმა მოჰკლეს!

## ძმადნაფიცი

მებრძოლები კავკასიონის კალთებზე გათხრილ სანგრებში ისხდნენ. საქართველოდან ჩასულმა სტუმრებმა საჩუქრები ჩაიტანეს, და სიხარული გაშლილიყო ფრონტზე.

სანგარში ორი მებრძოლი ზის. ერთი ჯმუხი ტანისაა, მზით გარუჯული სახით, მსხვილი შავი წარბებით და გაშლილი მაღალი შუბლით. მისი ნაპერწკლიანი თვალები წარბებს ქვეშიდან გულში ჩამწვდომად გამოიცქირებიან. მეორე თეთრგვრემანია, სანდომიანი სახისა და მუქ-ცისფერ თვალებიანი. თხელი და ჩალისფერი წარბ-წამწამი არც კი ემჩნევა.

—გრიცკო, ამ მთებს იქით ჩემი სამშობლოა, იქიდან არის ეს ღვინო.

შავგვრემანი, ჯმუხ და გარუჯული სახის მებრძოლს ბოთლი ხელში ეჭირა და თუნუქაში წითელ ღვინოს ასხამდა.

— ამ მთებს იქით ჩემი პატარა და ლამაზი საქართველოა. თვალუწვდენი ვენახებია გაშლილი ჩემს ქვეყანაში, შემოდგომაზე სწურავენ ყურძენს. შემოდგომაზე მაჭარივით დუღს საქართველო. ძალიან მიყვარს საქართველო, შენც მიყვარხარ, ჩემო გრიცკო, იმიტომ რომ ამ მთებში შენ საქართველოსთვისაც იბრძვი. ეს ჩვენი გამარჯვებისა იყოს!

თავგვრემანმა ყმაწვილმა სულმოუთქმელად დასცალა. ღვინომ ბაგები ლალისფრად შეუღება და სახეზედაც ლალისფერმა ღიმილმა გადაურბინა.

— დალიე, გრიცკო, ნამდვილი შარბათია

— საქართველოსკენ არ გავუშვებთ, აქეთაც უნდა გავრეკოთ,—სთქვა გრიცკომ და ღვინო გადაჰკრა. თუნუქა ტყვია-წამლის ყუთზე დასდო.

— მჟავეა, მაგრამ, კარგია,—დააყოლა ცოტა ხნის შემდეგ.

შალვა შეწითლდა. ულვაშებზედაც-კი დაეტყო მხიარულება.

— ჩვენში ძმობის შეფიცვა იციან. ძმადნაფიცები ღვინოში ვერცხლს ჩაათლიან, დალევენ და ვეღარაფერი ვერ გასტეხს მათ ფიცს.

შალვა შეჩერდა, თითქოს რაღაც მივიწყებულს იგონებსო. კარგა ხანს შესცქეროდა გრიცკოს, მერე ისეთივე სიდინჯით, როგორც წამოიწყო, გააგრძო:—მე ახლა აქ არავითარი ვერცხლის ნივთი არა მაქვს, რომ ღვინოს ჩავათალო, მაგრამ მთელი ჩემი გულის ოქრო, რაც კი გამაჩნია, ამ ღვინოში მინდა მოვაქციო და შენ ძმობა შემოგფიცო. ძმაში არ გაიჩევ, გრიცკო!

შალვამ ღვინის ნახევარი დალია, მეორე ნახევარი გრიცკოს გაუწოდა.

— ამ მძიმე წუთებში გეფიცები, ისეთივე ძმა ვიქნები, როგორც შენ ჩემთვის. ამ იარაღმა დაგვაძმობილა და სწორედ ეს იარაღი უნდა ვასახელოთ.

გრიცკომ ისე გამოსცალა, რომ შიგ წვეთიც არ დაუტოვებია.

— ტკბილია, ტკბილი!—დააყოლა ფიქრიანად.

ხოლო სანგარსასვლელებიდან მიწურებსა და სანგრებში შუქი, წყნარი და ურუმარი ბინდი დინჯად და ფეხაკრეფით შედიოდა.

დიდხანს საუბრობდნენ ძმადნაფიცნი საქართველოსა და უკრაინის შესახებ. ერთი იგონებდა თავისუფალ, მეორე დროებით მონადქცეულ სამშობლოს, მაგრამ ორივეს ერთი და იგივე გულისტკივილი ჰქონდა: მტრების განდევნა...

მათ საუბარში ღამეს ჩაეძინა. ღამესაც სცოდნია ძილი. თურმე იგი სხვასაც აძინებს თუ თვითონაც იძინებს.

* * *

დილა ქვემეხებმა გააღვიძეს.

ნაღმსატყორცნები საზარლად ოხრავდნენ, ელვად გადაიქცნენ ტყვიამფრქვევები. წიოდნენ ცალკეულად გასროლილი ტყვიები. ეს დილა კი არ იყო, არც მზის ამოსვლა, არც ცისკრის გაღება,—ეს იყო ნამდვილი წყვდიადი, სინათლის ჩასვენება.

ტყიან ფერდობზე ძიძრავი მუზარადები გამოჩნდნენ: მტერი იერიშზე გადმოდიოდა.

გრიცკო ტყვიამფრქვევით დაუხვდა. ოცეულის მეთაურმა ბრძანა: „ცეცხლი!“ და გრიცკომაც შეუჩერებელი ცეცხლი გააჩაღა. კარგა ხანს აკავებდა მოძალებულ მტერს. მოულოდნელად მისი ტყვიამფრქვევი დადუმდა, და ნაწყვეტმა გრიცკომ ხელი ჩაიქნია. მისკენ რამდენიმე ათეული მიიწევდა. მაშინ გრიცკო ფეხზე წამოდგა, მთელი ტანით გაიმართა და მებრძოლებს შესძახა:

— მომყევით!

ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ.

შალვა მეორე ფრთაზე იბრძოდა. მან შორიდან შენიშნა გრიცკოს დაცემა. ძმადნაფიცს ისე როგორ მიატოვებდა, რომ არ დახმარებოდა. ბრძოლა რომ დამთავრდა, შალვამ გრიცკოს დაცემის ადგილთან მიირბინა.

გრიცკო მხოლოდ თვალებით შეეგება შალვას. ტკივილებისაგან ხმას ვერ იღებდა.

— როგორა ხარ?—შეეკითხა.

შალვამ პასუხი ვერ მიიღო. ხელში აიყვანა და ათიოდე ნაბიჯი ხელით ატარა.

გრიცკოს უნდოდა ერთხელ მაინც ამოეკვნესა, მაგრამ თავს იკავებდა, ძმადნაფიცს შევაწუხებო.

დათელილ ბალახზე მიაწვინა დაჭრილი. ქამარი შეუხსნა, რომ ჭრილობა მოესინჯა.

— არაო,—თვალებით ანიშნა გრიცკომ,—საჭირო არ არისო.

მიწურში დაჭრილ გრიცკოს სალაპარაკოდ ჰაერი არა ჰყოფნიდა.

რამდენიმე წუთს ერთმანეთს უცქეროდნენ, მერე გრიცკომ ძალ-ღონე მოიკრიფა და ჩურჩულით შეეკითხა:

— შალვა, ჩემო ძმაო, ხომ კარგად ვიბრძოდი საქართველოსთვის?

შალვა დაიხარა, ისე ახლოს მიიტანა თავისი სახე, თითქოს უნდოდა დაეკოცნა ის ბაგეები, რომლებმაც ეს სიტყვები წარმოსთქვეს. ალერსიანი ხმით უპასუხა:

— ძმობას გეფიცები, გრიცკო, უკრაინამდე თუ ცოცხალი მივედი, ვეცდები, შენსავით ვიბრძოლო უკრაინისათვის. ჩემს ძმურ სიყვარულს იქ დაგიმტკიცებ!

უხაროდა შალვას, გრიცკომ ხმა ამოიღოო, და სიყვარულით დასცქეროდა, მაგრამ გრიცკოს ღია თვალები ვეღარაფერს ხედავდნენ. გაციებულიყვნენ.

დიდხანს იდგა მუხლებზე დაჩოქილი და მდუმარედ დასცქეროდა დაღუპულ ძმას. მერე შალვამ ღია თვალები დაუხუჭა, შუბლზე ემთხვია და ბრძოლის ველისაკენ გაეშურა.

## დედის გული

მარჯნის კრიალოსანს მარცვლავდა თავდახურული ქალი. აივანზე იდგა და ვაშლისა და ალუბლის ხეხილთა უკანასკნელ ფოთლებს გასცქეროდა. მსუბუქი ლეჩაქი თრთოდა მის მხრებზე. ბაღდადის გარეთ ჩამოშვებული თეთრი კავები სახეს უნათებდნენ მოხუცს. შინდისფერ ხავერდის ჩიხტზე ჩაკერილ ოქროს შუბლის ქინძისთავში ხუთი ალმასის თვალი ბრწყინავდა. მოხუცს ხუთი ვაჟი ჰყავდა. ხუთივენი მართლაც ალმასებივით იყვნენ. მეხუთე ვაჟი რომ ეყოლა, გახარებულმა მამამ ბედნიერი დედა ამ შუბლისქინძისთავით დაასაჩუქრა და ნაბოლარას გიორგი დაარქვა.

მარჯნის კრიალოსანს მარცვლავდა ხუთი ვაჟის დედა. მის შემხედვარეს ეგონებოდა ხეხილთა შტოებში ისვენებსო მისი თვალი. მაგრამ ბაღნარი მისთვის მხოლოდ ბუნდოვანი სურათი იყო. ის შესცქეროდა გზას. აი, ამ გზით, ამ ხეხილთა შორის მიდიოდნენ მისი ვაჟები. მაშინ ზაფხული იყო და კარგად ახსოვს დედას, ძირს დაცემულ ფოთოლზე და ყვავილებზე მიაბიჯებდნენ ისინი, დედა კი ღიმილს აფრქვევდა მათ... ლოცვა იყო ეს ღიმილი...

არასოდეს გულში დარდს არ გაივლებს.

შუბლისქინძისთავში ჩასმულ ალმასის თვლებს სათუთად უვლის, რომელიმე მათგანი არ ამოვარდესო, ცუდი ნიშანი არ იქნესო. იდღეგრძელონო ვაჟებმა. არც თალხები უყვარს, მხიარული ფერის ტანსაცმელს იცვამს. თეთრი ბაღდადი და არშიანი ლეჩაქი ცისფერი ქინძისთავებით უმაგრია.

ღრუბლებშერეული ნაცრისფერი დილაა.

აივნიდან მოჩანს სოფლის შარა გზა.

დედას თვალი მაინც გზისკენ ეჭირა...

ბევრჯერ გაუხარებია ამ გზას მოხუცის გული.

სოფლის გზიდან ახლაც ვიღაცამ გადმოუხვია, ბაღის ჭიშკარი შემოაღო და შემოდგომისაგან გაძარცულ ხეივანში შემოვიდა ფოსტალიონი.

ფოსტალიონს ჩვეულებად ჰქონდა ეზოდანვე ასძახებდა მოხუცს თუ რომელ შვილისგან იყო წერილი. დღეს კი თავჩაღუნული ადიოდა კიბეებზე, თითქოს წერილის ატანა უმძიმდა.

განცვიფრებულმა დედამ თავშეკავებული მღელვარებით შორიდანვე იკითხა:

— რომლის წერილია, შვილო?

— არც ერთისა არ არის, დედი, სხვა ვიღაც გზავნის!

უნებურად შუბლი შეეკრა მოხუცს. როგორ თუ ვიღაც. ნუთუ რომელიმე შვილი უკვე დაეცა?!

მდუმარედ ჩამოართვა წერილი. მოხუცისათვის ჩვეული სიდინჯით დამარცვლულად გადაიკითხა.

„ძვირფასო დედავ და მამავ, ამ წერილს გწერთ თქვენი ვაჟის გიორგის ამხანაგები. სწორედ ახლახანს დამთავრდა ბრძოლა. მიწურში შევიკრიბენით და გადავწყვიტეთ ახლავე მოგწეროთ და შეგატყობინოთ თუ რა ვაჟკაცია თქვენი შვილი. გუშინ პარტიაში ვილებდით. როდესაც მას სიტყვა მივეცით, მან ღიმილით შემოგვხედა.

— ძვირფასო ამხანაგებო! თქვა მან და გაჩუმდა. საჭირო სიტყვები რომ ვერ მოძებნა დაუმატა.—ერთს ვიტყვი მხოლოდ. პარტიაში ბრძოლის წინ შემოვდივარ. ხვალ კი, მტერს რომ შევებმებით, დაინახავთ როგორც ვიბრძოლებ! მართლაც განგვაცვიფრა ყველა. ვეფხვივით იბრძოდა. გავაქციეთ მტერი. ახლა ჩვენ ყველანი მიწურში ვსხედვართ, გიორგი კი ძლიერ დაღლილია და სძინავს, ჩვენ გაყუჩებული ვართ და ყველანი მის ძილს ვუფრთხილდებით, მისი გაღვიძება არ გვინდა, დაე, დაისვენოს დაღლილმა და ნაბრძოლმა“...

მკრთალი ტუჩები ღიმილმა შეულამაზა მოხუცს. შუბლიც გაუხსნა. ფოსტალიონსაც თითქოს გულიდან მძიმე ლოდი მოაშორეს, თავისუფლად ამოისუნთქა და წავიდა.

მოხუცი რაღაცამ ჩააფიქრა, გულნაკლულად გრძნობდა თავს, ოთახში შევიდა და წერილის პასუხი დასწერა.

ათიოდე დღის შემდეგ მიწურში მებრძოლები დედის წერილს კითხულობდნენ.

„საყვარელო შვილებო, იცოცხლეთ და გაიმარჯვეთ. მადლობელი ვარ ჩემს შვილს აგრე რომ უვლით. ოღონდ შვილებო, თუ ჩემი გიორგი ძლიერ დაღლილი იყო გაოფლიანებული იქნებოდა. მაზარის დახურვა ხომ არ დაგავიწყდათ, არ გაცივდეს ჩემი პატარა!“

მიწურში მხიარული სიცილი კარგა ხანს არა სცხრებოდა, მაგრამ როდესაც სიცილი მისწყდა ყველა უნებურმა დუმილმა და ფიქრმა შეიპყრო. დედის წერილი რომელ მათგანს უნდა ჩაედო გულის უბეში, არც ერთი არ სთმობდა და რომელს უნდა ეტარებინა იგი?!

## ვ. პ. სტავსკის ხსოვნას

საბრძოლო პოსტზე დაიღუპა მწერალი მებრძოლი ვლადიმერ პეტრეს-ძე სტავსკი. ვლადიმერ პეტრეს-ძე ბავშვობიდან ეწევა მშრომელი ადამიანის ცხოვრებას — იყო მჭედელი, მშენებელი და უბრალო მუშა. სიჭაბუკის წლებში აღძრა მისწრაფება აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობისაკენ, ბოლშევიკებთან ხშირმა შეხვედრამ იგი სწორ გზაზე დააყენა და 1918 წლის დასაწყისში სტავსკის უკვე ვხედავთ წითელი გვარდიის მოხალისე-მებრძოლთა პირველ რიგებში. მალე იგი წითელ გვარდიული რაზმის მეთაური და ბოლშევიკური პარტიის წევრია.

სამოქალაქო ომის მთელი პერიოდი სტავსკიმ წითელი არმიის რიგებში გაატარა. საბჭოთა სამშობლოსათვის თავდადებული მამაცი მეთაური, კომისარი სტავსკი ასრულებს რთულ და სახიფათო დავალებებს, პირისპირ ხვდება რა მტერს. 1920 წელს ვ. სტავსკი ღებულობს პირველს საბრძოლო ჯილდოს იმისათვის, რომ სარდლობას „წარმოუდგინა ფრიად ძვირფასი ცნობები მოწინააღმდეგის არმიასა და ფლოტზე, ჩააგდო რა თავის სიცოცხლე დიდ ხიფათში".

არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ ვ. სტავსკი დიდი საბრძოლო აღტაცებით ჩაება, როგორც დამწყები ლიტერატორი, მაშინ გაჩაღებულ მუშკორთა მოძრაობაში. მალე იგი ხდება თვალსაჩინო ჟურნალისტი და შემდეგ როსტოვის გაზეთის „მოლოტის" ხელმძღვანელი. მისი ნაწარმოები — ნარკვევები „სტანიცა", მოთხრობები „გარბენა", „უღელტეხილი", მიძღვნილია საკოლმეურნეო მოძრაობისადმი ყუბანში". ღრმა დაკვირვება, საკოლმეურნეო მშენებლობის ძირეული საკითხების მკაფიო და მწვავე დაყენება ამ წიგნებს ხდის საბჭოთა ლიტერატურის მნიშვნელოვან მოვლენებად. ვ. სტავსკის გზა, როგორც პოლიტიკური მოღვაწისა და მწერლისა, აღბეჭდილია მშფოთვარე ტემპერამენტით, პირდაპირობით და ბოლშევიკური პრინციპულობით. ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკის მშრომელებმა ვ. სტავსკი 1937 წელს აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს დეპუტატად.

ვ. სტავსკის ცხოვრების უკანასკნელი წლები მთლიანად და განუყოფლად არმიაში მუშაობას, სამამულო ომის ფრონტზე ბრძოლას შეეწირა. როგორც სამხედრო მწერალი და პოლიტმუშაკი ვ. სტავსკი მონაწილეობას იღებდა ხალხინგოლთან გამართულ ბრძოლებში და თეთრ ფინელებთან წარმოებულ ომში. საბრძოლო დამსახურებისათვის ვ. სტავსკი დაჯილდოვებულია წითელი დროშის ორი ორდენით და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის წითელი დროშის ორდენით. დიდი სამამულო ომის პირველ დღეებიდანვე ვ. სტავსკი მუშაობს ცენტრალურ გაზეთების სამხედრო კორესპონდენტად. უკანასკნელ პერიოდში იგი ამზადებდა წიგნს მეომარ სნაიპერებზე, სამამულო ომის გმირებზე. იგი დაიღუპა ფრონტის მოწინავე ხაზზე, მწერალ-მებრძოლის საპატიო მოვალეობის შესრულებისას.

ვლადიმერ სტავსკის სიკვდილი მძიმე დანაკლისია მთელი საბჭოთა ლიტერატურისა და საზოგადოებრიობისათვის. საბჭოთა მწერლები მარად შეინახავენ ვ. პ. სტავსკის ხსოვნას, როგორც სათუთ და გულწრფელ ამხანაგზე, როგორც მამაც მწერალ პატრიოტზე, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა თავისი სამშობლო და თავისი ხალხი.

**საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი**

## პროზაიკოსთა სექციაში

26 ნოემბერს მწერალთა კავშირში პროზაიკოსების სექციის სხდომაზე მწერალმა ანდრო ლომიძემ წაიკითხა ორი ნოველა „მამა" და „ახალი გრძნობა".

წაკითხვის შემდეგ თავიანთი შეხედულება გამოსთქვეს გ. ქიქოძემ, ლ. ქიაჩელმა, ს. შანშიაშვილმა, დ. ბენაშვილმა, გ. გაჩეჩილაძემ, ვ. გაბესკირიამ, ი. ლისაშვილმა და ლ. ავალიანმა.

გერონტი ქიქოძის აზრით, ანდრო ლომიძის ხსენებულ ნოველებს ახასიათებს უპრეტენზიობა და ემოციურობა. ლომიძემ სცადა აესახა ზღვა და მისი მშვენიერი სანაპიროები, ზღვის პეიზაჟი კი იშვიათად ისახება თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.

ლეო ქიაჩელმა ავტორს მოუწონა განსაკუთრებით ნოველა „მამას" ფინალი, რომელიც საყურადღებო მხატვრულ მიგნებად ჩასთვალა. გერონტი ქიქოძემ, სანდრო შანშიაშვილმა, ლ. ქიაჩელმა და დ. ბენაშვილმა მიუთითეს „ახალ გრძნობაში" ზედმეტ განყენებულ მსჯელობაზე და ურჩიეს ავტორს დაუფიქრდეს ნოველის ამ ნაწილს და შეასწოროს იგი.

გ. გაჩეჩილაძემ, დ. ბენაშვილმა, ვ. გაბესკირიამ აღნიშნეს ლომიძის მოთხრობებში მოცემული მასალის ცოდნა და დეტალის გრძნობა.

## საინტერესო თეატრი

ამიერ-კავკასიის ფრონტის მუსიკალური კომედიის რუსული თეატრი, რომელსაც ლ. ლიუბიანსკი ხელმძღვანელობს, სამამულო ომის პერიოდში ჩამოყალიბდა უმთავრესად დონბასისა და სტალინოს მუსიკალური კომედიის თეატრების მსახიობთაგან.

თეატრმა თავისი არსებობის ხანმოკლე პერიოდში დიდი წარმატება მოიპოვა ამიერ-კავკასიის ფრონტის მებრძოლებსა და ოფიცრებს შორის. მან სამართლიანად დაიმსახურა საინტერესო და კარგი თეატრის სახელი. თეატრმა დღემდე თბილისის გარნიზონში და წითელი არმიის სახლში 120 წარმოდგენა მოაწყო, ხოლო ა. კავკასიის სამხედრო ოლქის სხვადასხვა ნაწილებს, ჰოსპიტლებსა და შავი ზღვის სამხედრო გემებს 430 სპექტაკლი წარმოუდგინა ადგილებზე. გამართა 250 საშეფო წარმოდგენა და კონცერტი და დიდი დახმარება გაუწია მებრძოლებისა და ოფიცრების თვითმოქმედ წრეებს.

თეატრის რეპერტუარში შეტანილია „ხოლობკა", „სილვა", „არშინ-მალ-ალან", „როზმარი", „კოლომბინა", „ქორწილი მალინოვკაში" და სხვა.

ამჟამად მუსკომედიის თეატრის კოლექტივი ერთდროულად 4 ახალ დადგმაზე მუშაობს. უკრაინულ ფოლკლორზე აგებულ გ. არტომოვსკის პიესის „ზაპოროჟეც ზა დუნაემ"-ის დადგმაზე, რომელიც უკრაინულ ენაზე დაიდგმება, მუშაობს რეჟ. ვ. ლობანოვი.

სპეციალურად ამ თეატრისათვის დაწერილ კაპიტან შამკოვიჩის პიესას „რიუმკა ვისკის", სადაც ფაშისტური წყობილებისა და მისი მეთაურების არარაობაა ასახული, სდგამს რეჟ. ს. სმიროდინცევი.

საბჭოთა პარტიზანების გმირული ბრძოლების ამსახველ ზისკინდისა და კოლტუნოვსკის პიესას „ოქროს გასაღებს" სდგამს რეჟ. ი. პავლოვსკი.

ამიერ-კავკასიის ფრონტის ნაწილებისათვის საჩვენებლად სპეციალურად იდგმება ერთმოქმედებიანი ოპერეტებისაგან შემდგარი სპექტაკლი.

# ქრონიკა

### ახალი მეცნიერული შრომების გამოცემა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 1944 წლის განმავლობაში გამოსცემს 90 სახელწოდების წიგნს, რომელთა საერთო მოცულობა 610 საავტორო ფორმას უდრის.

გამომცემლობის გეგმაში შეტანილია სახელმძღვანელოები და მეცნიერული ნაშრომები მეცნიერების ყველა დარგიდან.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დარგიდან გამოიცემა: კ. კაპანელის „დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია", ს. ყაუხჩიშვილის „ძველი ბერძნული ლიტერატურის ისტორია" (მესამე ნაწილი). ი. ბეგლაროვის „სომხეთის მე-19 საუკუნის ლიტერატურის ისტორია", ა. შანიძის „ძველი ქართული ენის ქრესტომატია" და სხვ.

ისტორიულ მეცნიერებათა დარგიდან გამოიცემა: რუსი ავტორების კოლექტივის „ფილოსოფიის ისტორია" (ტომი პირველი), პ. სტრუვეს „ძველი აღმოსავლეთის ისტორია" და ტარლეს „ახალი ისტორია" (პირველი წიგნი).

### შალვა დადიანის ახალი წიგნი

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი" უახლოეს ხანებში გამოსცემს შალვა დადიანის სამამულო ომის პერიოდში დაწერილ პუბლიცისტური წერილებისა და წარმოთქმული სიტყვების კრებულს, რომელსაც „ქართველობა" ეწოდება.

### სიმონ ჩიქოვანის ლექსები

სახელმწიფო გამომცემლობა ბეჭდავს სიმონ ჩიქოვანის ლექსების კრებულს. კრებული თორმეტ ფორმას შეიცავს.

### სახელგამის ახალი გამოცემანი

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა სცემს სამამულო ომის საკითხებთან დაკავშირებულ მთელ რიგ ბროშურებს.

ამჟამად წარმოებაშია და უახლოეს ხანებში გამოვა ალ. ქუთელიას „გერმანიის ფაშიზმის იდეოლოგიის სათავეები", ბაჩელისის „ბრძოლა მოსკოვისათვის", ბ. ვოლინის „საყოველთაო სახალხო პარტიზანული ომი" და ლაპტევის „საკოლმეურნეო წყობილება სამამულო ომის პირობებში".

### გამოფენა სამხატვრო აკადემიაში

ლენინური კომკავშირის არსებობის 25 წლისთავისათვის საქართველოს სამხატვრო აკადემიაში გაიხსნა ფერწერის, ხატვის და სკულპტურის ფაკულტეტების ყველა კურსის სტუდენტთა გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია 1942-43 წ. მეორე სემესტრის ნამუშევარი და ნაწილობრივ მიმდინარე წლის ზაფხულს შესრულებული შრომები, ფერწერის ფაკულტეტის სტუდენტთა ნამუშევრებიდან ყურადღებას იპყრობენ მეოთხე კურსის სტუდენტის გ. რონიშვილის ესკიზი „პარტიზანი" და იმავე კურსის სტუდენტის ოთარ ჯაფარიძის ფერადოვანი საზაფხულო ეტიუდები. შესრულების მხრივ საინტერესოა აგრეთვე ხვიტიას, ალ. პაპიკიანის, ირინა ვატაგინას, ლეილა თაბუკაშვილის ეტიუდები, ყურადღებას იქცევს მეხუთე კურსის სტუდენტის ცისია შანშიაშვილის „ალაზნის ველი", მესამე კურსის სტუდენტის ლევ. შენგელიას ეტიუდები. კარგ შთაბეჭდილებას ახდენენ თავისი გამომსახველობითი ძალით სტუდენტების ქეთევან პატარაიას, ირინა რაზმაძის, მიხა ჟუჟიაშვილის და იაკობ სკრიპნიკოვის ნახატები. კოლორიტულია მესამე კურსის სტუდენტის კარლო შილაკაძის ქანდაკება—„მოხუცის თავი".



საბჭოთა ცხენოსნები დაზვერვაზე—გრავიურა ხეზე ა. კოჯოიანისა.

## პატარა ფელეტონი

## ვინ არის დამნაშავე?

ქვემოთ მოყვანილი წერილი ჩვენ შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში. ეს წერილი მიუწერია თბილისიდან სტუდენტ ქალს სოფლად თავისი მშობლებისათვის. ჩვენის აზრით, ეს წერილი მოკლებული არ არის ერთგვარ ლიტერატურულ ინტერესს. ამიტომ ვაქვეყნებთ მას:

„საყვარელო მშობლებო! გწერთ ამ წერილს და თან ცხარე ცრემლით ვტირი. სატირელი და სადარდელი როგორ არ არის, რომ სწორედ ახლა დავბრუნდი მეცადინეობიდან, სადაც გამოცდაზე ჩავიჭერი, ორიანი მივიღე. საყვარელო დედავ, არ იფიქრო, რომ ეს სიზარმაცით დამემართა. გეფიცები, ჩემი ბრალი არ არის, მაგრამ სჯობია ისევ თავიდან მოგიყვე ყველაფერს.

დიდხანს ვემზადებოდი საგნის ჩასაბარებლად. მეგონა, ყველაფერი ვიცი-მეთქი. ხომ გახსოვს, რა ძლიერ მიყვარს ლიტერატურა. ამიტომ დღეს დილით ამაყად შევაღე ოთახის კარი, სადაც ლექტორი იჯდა. დაიწყო გამოცდა. მისი პირველი შეკითხვა ასეთი იყო:

— მითხარით, ვინ შექმნა ავანტიურული ანუ სათავგადასავლო რომანების საუკეთესო ნიმუშები?

მე ბევრი არ მიფიქრია, ვუპასუხე:

— ფრანგმა მწერალმა ალექსანდრე დიუმა-შვილმა.

— შვილმა თუ მამამ?—ეჭვით მკითხა ლექტორმა.

— არა შვილმა, ნამდვილად ვიცი, რომ შვილმა.

— არა გცოდნიათ,—მომახალა ლექტორმა:— რა უფლებით ართმევთ მამას მის რომანებს და შვილს აკუთვნებთ. იქნებ იმ ანდაზით გინდათ იმართლოთ თავი, რომ მამისა და შვილის ქონება ვის გაუყვია. დიუმა-შვილი უფრო ცნობილია როგორც დრამატურგი; სათავგადასავლო რომანების ავტორი დიუმა-მამაა.

ასე ჩავიჭერი პირველ შეკითხვაზე.

ლექტორმა მერე მკითხა:

— რა მოვლენამ მისცა ბარათაშვილს გარეგნული სტიმული დაეწერა თავისი „მერანი"?

— ალექსანდრე ორბელიანის დატყვევებამ ლეკთა მიერ.

— არც ეგ გცოდნიათ, მითხრა კვლავ ლექტორმა:—თქვენ წელან მამა და შვილი აურიეთ ერთმანეთში. ახლა-კი—ორი ორბელიანი. ბარათაშვილს მხედველობაში თავისი ბიძა ილია ჰყავდა და არა ალექსანდრე ორბელიანი.

ასე ჩავიჭერი მეორე შეკითხვაზეც.

— მითხარით, ვინ იყო ბალადის ჟანრის საუკეთესო ოსტატი?—მკითხა ისევ ლექტორმა.

— მწერალი ფლანდი,—ვუპასუხე.

— მაგეთი მწერალი არ არსებობს. რა უცნაური და ახირებული ფანტაზია გქონიათ, ეგ საიდან გამოიგონეთ?—მისაყვედურა ლექტორმა.

ასე ჩავიჭერი მესამე შეკითხვაზე.

ლექტორი არა ცხრებოდა. კვლავ მკითხა.

— დამისახელეთ, ვინ იყო ფანტასტიკური ნოველების მწერალი?

— ალფმანი,—ვუპასუხე.

— არც მაგეთი მწერალი არსებობს. ნეტა საიდან იგონებთ ყველაფერ მაგას?—მითხრა უკვე მოთმინებიდან გამოსულმა ლექტორმა.

ასე ჩავიჭერი მეოთხე შეკითხვაზე.

— რა არის „აჩრდილის" მთავარი იდეა?— ჰკითხა კვლავ ლექტორმა.

—„აჩრდილში" ილია სამართლიანად ამათრახებს სინამდვილეში არსებულ მღვდლებს, ტიპიურ სულიერ მამებს.

ლექტორმა განცვიფრებით აიჩეჩა მხრები და მითხრა:

— მართალია, „აჩრდილის" მეთხუთმეტე თავში არის ოთხი სტრიქონი მღვდლებზე, მაგრამ განა ნაწარმოების მთავარი იდეა ამ ოთხ სტრიქონშია?

ასე ჩავიჭერი მეხუთე შეკითხვაზე.

ლექტორმა კვლავ მკითხა:

— თქვენ ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა გქონიათ „აჩრდილზე", [illegible]. იქნებ სხვა რაიმე იცით ილიასი?

— ვიცი,—და ზეპირად ვუთხარ ლექსი:

„სამშობლოვ, ჩემო ლამაზო,
ზურმუხტო ანუ ალმასო".

ლექტორმა ირონიულად გადმომხედა და კვლავ მხრები აიჩეჩა.

— თქვენ გგონიათ, რომ ეგ ლექსი ილიასია? არა გცოდნიათ!

ასე ჩავიჭერი მეექვსე შეკითხვაზე.

— ვის ეხება ვოლტერის პოემა „ჰენრიადა" —მკითხა კვლავ ლექტორმა.

— ჰენრიხ მეექვსეს.

— არა, ჰენრიხ მეოთხეს.

ასე ჩავიჭერი მეშვიდე შეკითხვაზეც.

ლექტორმა საბოლოოდ დაჰკარგა მოთმინება. —მითხრა:

— თქვენ ვერც ერთ შეკითხვაზე პასუხი ვერ გამეცით. ამიტომ გიწერთ ცუდ ნიშანს— ორიანს.

იქვე ავტირდი. ახლა ამ წერილს ვწერ და კვლავ ვტირი*).

მაგრამ საყვარელო დედავ, ეს ჩემი ბრალი არ არის: ყველაფერი ეს მე კი არ გამომიგონია, წავიკითხე წიგნში, რომელსაც სახელად „ლიტერატურის მცოდნეობის საფუძვლები" ეწოდება და რომელიც გამოცემულია 1942 წელს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ. წარმოიდგინე, რომ უნივერსიტეტში ჩამჭრეს უნივერსიტეტშივე გამოცემული წიგნის შეცდომების წყალობით. ამ წიგნში წავიკითხე, რომ „ავანტიურული რომანების საუკეთესო ნიმუშები შექმნა... დიუმა-შვილმა (საფრანგეთი)" (გვ. 366). იქვე ეწერა, რომ „ალექსანდრე ორბელიანის დატყვევება ლეკთა მიერ საბაბი გახდა იმისათვის, რომ ბარათაშვილს დაეწერა... „მერანი" (გვ. 323). იქვე წავიკითხე, რომ თურმე „ბალადა დაამუშავეს ცნობილმა გერმანელმა და ინგლისელმა მწერლებმა ფლანდმა, შილერმა, გოეთემ და სხვებმა" (გვ. 406) და რომ „დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში ცნობილია ფლანდის... ბალადები" (გვ. 406). იმავე წიგნში წავიკითხე, რომ ალფმანის ნოველები ფანტასტიკურია (გვ. 356). იქვე სწერია, რომ „აჩრდილში" ილიამ გაამათრახა სინამდვილეში არსებული მღვდლებით (გვ. 123). იქვე ვისწავლე, რომ „სამშობლოვ, ჩემო ლამაზო" ილია ჭავჭავაძის ლექსიაო (გვ. 204). ვოლტერის „ჰენრიადაზედაც" იქ ეწერა —ჰენრიხ მეექვსეს ეხებაო (გვ. 371). რა ვიცოდი, დედაჩემო: თურმე ყოველივე ეს სულ ტყუილი ყოფილა. თურმე წიგნის ავტორმა სიმონ გაჩეჩილაძემ თითონ აურია ერთი ერთმანეთში დიუმა-შვილი და დიუმა-მამა, ილია ორბელიანი და მწერალი ალექსანდრე ორბელიანი, გამოიგონა არ არსებული მწერლები ფლანდი და ალფმანი, ჰუგენოტ ჰენრიხ მეოთხე ვიღაც ჰენრიხ მეექვსეთი შესცვალა. ქე იმ წიგნს ხელაღებით კი არა ვწუნობ, ამბობენ არ არის ცუდი წიგნიო, პირველი ცდა არისო, მრავალი საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადაჭრილი და გაშუქებულიო, მაგრამ ეს მე რა ლას მიშველის, როცა უკვე საშინელი ორიანი მივიღე, იმიტომ რომ ამ წიგნის ავტორს ყველაფერში მიამიტად ვენდე და დავუჯერე.

თქვენი მოსიყვარულე შვილი **იამზე**".

აი ასე დამთავრდა იამზეს გამოცდის ამბავი.

**მ. კორინთელი**

*) წერილის ამ ადგილს მართლაც ცრემლების ლაქა ეტყობა.

## ერთი რეცენზიის გამო

### ს. ყაჩნაძე

„ლიტერატურული საქართველოს" მიმდინარე წლის მე-13 (289) ნომერში დაიბეჭდა ალ. ნეიმანის რეცენზია ქ. დათიკაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონზე.

რადგან პრესაში ამ ლექსიკონის გამოსვლას საკმაოდ ვრცელი წერილით პირველი ალ. ნეიმანი გამოეხმაურა და ისიც ისეთ ავტორიტეტულ ორგანოში, როგორიცაა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო, ცხადია, რომ მკითხველთა ფართო მასაში ხსენებულ ლექსიკონზე წარმოდგენა ამ რეცენზიის მიხედვით შეიქმნება. ეს კი არ უნდა იყოს სასურველი, რადგან რეცენზია, როგორც ქვემოთ დავინახავთ, თავის სიმაღლეზე ვერა დგას. ეს გარემოება მაიძულებს მე, სარეცენზიო ლექსიკონის რედაქტორს, ორიოდე სიტყვით შევეხო ალ. ნეიმანის რეცენზიას.

უდაოდ უნდა იყოს მიჩნეული, რომ რეცენზენტი, ვიდრე სარეცენზიო შრომის შეფასებას შეუდგებოდეს, საფუძვლიანად უნდა გაეცნოს მას. ჩვენი რეცენზენტი ამ მოთხოვნას უგულვებელჰყოფს. ასე, მაგ., რეცენზიაში ვკითხულობთ: „ზოგიერთ შემთხვევაში თარგმანს დაზუსტება აკლია, Барич-ის გარდა, ბატონიშვილის (59) ძირითადი მნიშვნელობა არის აგრეთვე царевич და царевна". რეცენზენტს რომ სარეცენზიო წიგნის 316-ე გვერდი გადაეშალა, სადაც შესწორებებსა და დამატებებში ნათქვამია: „ბატონიშვილი (მეფის შვილი) царевич", იქნებ ასეთი განცხადება აღარ დასჭირდებოდა. მეორე ადგილას რეცენზენტი სწერს: „ასე, მაგალითად, ლექსიკონით „დაჭკნობა (255) სხვისი ანუ როგორც ლექსიკონშია — „ვინმეს მიერ" იქნება: „Заставить завянуть (увянуть), заставлять вянуть (увядать), завядать, дать увянуть (завянуть), давать вянуть (увядать, завядать") და სხვ." რეცენზენტი რომ დაჰკვირვებოდა „ლექსიკონის ხმარების წესებს" (გვ. IV-V ქართულად, გვ. VII—IX რუსულად) და, კერძოდ, წესების მე-17 მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ „თარგმნების შემდეგ ქართულ ენაზე წვრილი შრიფტით მოცემულია სტილისტიკური და სხვა დახასიათებანი უფრჩხილებოდ ან ზოგჯერ მრგვალ ფრჩხილებში სხვადასხვა განმარტებები, რომლებიც ეხება წინა თარგმანს ან ყველა წინა თარგმნებს წერტილ-მძიმემდე", ვფიქრობ, აღარ მოგვაწერდა ჩვენ, სარეცენზიო შრომის ავტორს და მის რედაქტორს, ისეთ უვიცობას, თითქოს ჩვენ ვამტკიცებდეთ, რომ დაჭკნობა ვინმეს მიერ რუსულად იქნება заставить увянуть, заставлять вянуть, რადგან შენიშვნა ფრჩხილებში (ვინმეს მიერ) მოთავსებულია давать вянуть (увядать, завядать)-ის შემდეგ და წესით ეს შენიშვნა არა ვრცელდება წერტილ-მძიმეთი დაშორებულ წინა თარგმნებზე.

ისიც უდავო უნდა იყოს, რომ რეცენზენტი სარეცენზიო შრომიდან ციტირებულ ადგილებს დიდის სიფრთხილითა და ყურადღებით უნდა მოეპყრას. ჩვენი რეცენზენტი კი ამ მხრივ საკმაო დაუდევრობას იჩენს. ლექსიკონში ნათქვამია: у него режет в животе, რეცენზიაში ვკითხულობთ; „ვერაფერი რუსულია: „у него режет живот". ვეთანხმებით რეცენზენტს, რომ у него режет живот ვერაფერი რუსულია მაგრამ ისიც უნდა დაგვეთანხმოს, რომ ციტატის ასე დამახინჯება შეუწყნარებელია. ლექსიკონში გვაქვს: густая кисель. ისიც საკმარისია, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი უხეში გრამატიკული შეცდომა გაგვპარვია (თუმცა საკითხავია: ნუთუ რეცენზენტი სერიოზულად ფიქრობს, რომ ეს შემდგენელის ან რედაქტორის უვიცობის შედეგია და არა უბრალო კორექტურული შეცდომა?), მაგრამ რეცენზენტმა ესეც არ გვაკმარა და густая შესცვალა сгущенная-თი და გვიკიჟინებს: „сгущенная кисель" გრამატიკულადაც უხეში შეცდომაა და არც „თათარის" (გვ. 300) სწორ განმარტებას იძლევაო.

რეცენზიის ყველა შენიშვნის განხილვა შორს წაგვიყვანდა, ამიტომ სანიმუშოდ შევჩერდეთ ზოგიერთზე.

რეცენზენტის აზრით, ნაცვლად ფრაზისა „ქვეყანა ხომ შენ კატოზე არ აშენებულა" (აშენება, 43), „უფრო სწორი იქნება: „ქვეყანა შენს კატოზე ხომ არ მოყრილა?" ჯერ ერთი რეცენზენტს მისამართი შეშლია: თუ ლექსიკონში მოყვანილი ფრაზა მართლაც იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომლის ქართულ ტექსტსაც, რეცენზენტის აზრით, სწორი დადგენა ესაჭიროება, მაშინ ალ. ნეიმანმა ქართულის არცოდნა უნდა უკიჟინოს ანასტ. ერისთავ-ხოშტარიას, რომლის ცნობილ რომანიდანაც („ბედის ტრიალი", 1920, გვ. 68) არის ამოღებული, ეს ფრაზა, და არა ლექსიკონის ავტორს ან მის რედაქტორს, ხოლო მეორე—როგორ გვირჩევს რეცენზენტი („აშენება" სტატიაში) „აშენებულა"-ს ნაცვლად „მოყრილა" ვიხმაროთ?

„ყველაზე უფრო საგულისხმიეროა", რეცენზენტის სიტყვით, „ლექსიკონის რუსული ნაწილი, რომელიც ზოგჯერ, ცოტა არ იყოს, მოიკოჭლებს".

პირველი, რასაც გვისაყვედურებს რეცენზენტი, გახლავთ ზემოთმოყვანილი „у него режет живот" (გვრემა, 181). კვლავ გავიხსენოთ, რომ ლექსიკონშია в животе და არა живот და გავყვეთ რეცენზენტს: „მუცლის გვრემაზე რუსი იტყვის: у него резь (боль, бурчание) в желудке (და არა в животе)". ეს ადგილი ისე უნდა გავიგოთ, თითქოს რუსი არ იხმარს режет в животе, резь в животе. არ ვიცი, ვინ „რუსი" ჰყავს მხედველობაში რეცენზენტს, ის რუსები კი, რომელთაც მე დავიმოწმებ, ხმარობენ режет в животе, резь в животе: აკადემიის ლექსიკონში (Словарь церк.-слав. и русск. яз., 1847, ტ. IV, გვ. 82) резать სტატიაში ვკითხულობთ: от кислой пищи режет в животе. ალ. პუშკინის Скупой рыцарь-ში გვხვდება: „...трех капель (яду) будет, ни вкуса в них, ни цвета не заметно; А человек без рези в животе, без боли умирает".

მეორე მაგალითი: რეცენზენტის აზრით, „არასწორი და უხეირო გამოთქმაა" опустить, —кать голову на руки. ლევ ტოლსტოის Война и мир-ში კი (ტ. III, ნ. II, 29) ვკითხულობთ: „Наполеон нахмурился и долго молча сидел, опустив голову на руки".

მესამე მაგალითი: ფრაზაში: взбежать наверх (ავარდნა, 6) ზმნ.ზედა наверх ზედმეტია, ვინაიდან წინსართი „вз" ისედაც უჩვენებს მოქმედებითს გეზს ქვევიდან ზევით"-ო, ამბობს რეცენზენტი. ლერმონტოვი ხმარობს взошел в свой кабинет, взошел к Фениксу (кн. Лиговская). აქ „вз" უჩვენებს მიმართულებას არა ქვევიდან ზევით, არამედ გარედან შიგნით. მეორეს მხრივ, ა. ჩეხოვს აქვს: Дыбкин... с воплем взбегает наверх по каменной лестнице" („Ах, зубы") ლევ ტოლსტოის—Люди, всходившие наверх, рассказали тоже" („Поликушка"). როგორც ხედავთ ა. ჩეხოვი და ლ. ტოლსტოი არა ფიქრობენ, რომ „наверх ზედმეტია, რადგან „вз" ისედაც უჩვენებს მოქმედებითს გეზს (ქვევიდან ზევით)".

მეოთხე მაგალითი: რეცენზენტი, ალბათ, ფიქრობს, რომ вызвали из задумчивости არარუსული თქმაა, რადგან ციტატაში вызвали-ს შემდეგ ფრჩხილებში კითხვითი ნიშანი აქვს: „Слова Елизаветы вызвали (?) Сико из задумчивости". მას რომ პროფ. დ. უშაკოვის „Толковый словарь русского языка"-ში ჩაეხედა (ტ. I, გვ. 929), სადაც სიტყვა-სიტყვით ნათქვამია вызвать из задумчивости, აღარ დასჭირდებოდა მკითხველში ზედმეტი ეჭვის აღძვრა ლექსიკონის ხარისხის შესახებ.

მეხუთე მაგალითი: „არარუსულია აგრეთვე: Ему не прошло его лицемерие (გასვლა, 199), ნაცვლად „Ему не сошло с рук лицемерие". რეცენზენტი აქ, ცოტა არ იყოს, აჩქარებულა, თორემ მას უეჭველად კარგად მოეხსენება, რომ не сошло с рук ნიშნავს „არ ჩაუარა", ხოლო не прошло—„არ გაუვიდა". ყოველ შემთხვევისათვის ურიგო არ იქნებოდა, იმავ უშაკოვის ლექსიკონში წაეკითხა пройти (ტ. III, გვ. 942), 15... удастся, закончиться успешно; с рук сойти (сходить), (ტ. III, სვ. 1400 სტატია рука) пройти, проходить безнаказанно.

მეექვსე მაგალითი: რეცენზენტი გვარწმუნებს, რომ „ბეითალი (55) რუსულად იქნება „коновал და არა „ветеринар"-ო. ჩვენ შეიძლება გვერწმუნა ამ შემთხვევაში რეცენზენტის ეს გაჭრილი განცხადება, რომ მას არ ეწინააღმდეგებოდეს ყველა არსებული რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონები: გ. ახვლედიანის და ს. იორდანიშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი (ტ. I, სვ. 157), უნივერსიტეტის გამომცემლობის რუსულ-ქართული ლექსიკონი (გვ. 50,) ვ. თოფურიას რუსულ-ქართული ლექსიკონი (გვ. 29), ტექნიკური ტერმინოლოგია რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული (გვ. 20 და 240), გ. ახვლედიანის და ვ. თოფურიას ქართულ-რუსული ლექსიკონი (გვ. 35). ყველა ამ გამოცემაში ветеринар-ი ნათარგმნია ბეითალად, ხოლო ბეითალი—ветеринар-ად коновал და ბეითალი რომ ერთი და იგივე არ არის, ამას ცხადჰყოფენ რუსული ლექსიკონები: აკადემიისა Словарь церк-слав. и русск. яз. (1847 г. ტ. II, 197: коновал—лечащий лошадей), აკადემიისა „Словарь русского языка (т. IV в VI, 1912. სვ. 1844 коновал—кто лечит лошадей, неученый конский врач, ветеринар), უშაკოვის „Толк. словарь русск языка (т. I, სვ. 1439: коновал—знахарь лечащий лошадей (Обл.).

მეშვიდე მაგალითი: „დანახშირებაზე" რუსი იტყვის обуглить და არა превратить, —щать в уголь, ხოლო ვნებითი ზმნის მნიშვნელობით обуглиться და არა превратиться,—щаться в уголь (230). რომ რუსული ენის ლექსიკონში მოიპოვება სიტყვები обуглить, обуглиться, ეს ჩვენც ვიცოდით, მაგრამ მათი მნიშვნელობა როდი შეესაბამება ქართულ „დანახშირებას". უშაკოვის ლექსიკონში обуглить განმარტებულია: обжечь, образовав уголь по поверхности чего-н., ხოლო обуглиться—обратиться в уголь по поверхности (ტ. II, სვ. 720). 1847 წლის აკად ლექსიკონში ასეთი განმარტებაა ამ სიტყვებისა: обугливать, обуглить—обращать поверхность или округлость чего-либо в уголь.

ერთი საკითხიც განვიხილოთ უკვე გრამატიკის დარგიდან და ვიკმაროთ კიდეც:

„დაობლდა" (მხოლობითი რიცხვი) იქნება осиротеть, რაც სწორია, ოღონდ ეს ზმნა საშუალო გვარისაა და არა ვნებითი, როგორც კვალიფიცირებულია ლექსიკონში... ზმნების გვარების აღრევა სხვაგანაც გვხვდება"-ო, ამბობს რეცენზენტი. როგორც ჩანს, იგი ფიქრობს, რომ осиротеть ჩვენ ვნებითი გვარისად მიგვიღია, ლექსიკონში კი რუსული ზმნების გვარი არსად არაა განსაზღვრული და, მაშასადამე, ამ მხრივ ზმნების გვარების აღრევასაც ადგილი ვერ ექნებოდა.

ყველა ამის შემდეგ დეე თვით მკითხველმა დაასკვნას, თუ რამდენად დაეჯერება ალ. ნეიმანის რეცენზიას.

## ბიბლიოგრაფია

### ა. შენგელია—„ლიანას მტრედი"

ამ სათაურით გამოსცა საბლიტგამმა ახალგაზრდა პოეტის ალეკო შენგელიას საბავშვო ლექსების წიგნი. საინტერესო თემატიკით, სადა, მხატვრული ენით, ბავშვის ბუნების საკმაოდ კარგად ცოდნით ხასიათდება ეს წიგნი. ახალგაზრდა ავტორის სურვილია სწერდეს ლექსებს

„ისე ტკბილს და ისე მართალს,
ძია შიოს ნათქვამს ჰგავდეს"

ა. შენგელიას წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. სამამულო ომისადმი მიძღვნილ ლექსებიდან გამოირჩევა „წერილი მამას". ყმაწვილის სურვილია სახელმოხვეჭილი დაუბრუნდეს ომში წასული მამა.

„შენ ხომ მითხარ, სამშობლოსთვის
სხვები როგორ კვდებოდნენ...
ჰე, მამილო, როგორ მინდა,
გმირი დაბრუნდებოდე.
მე მჯერა, რომ გმირი მოხვალ,
განა სხვა ფიქრს გავივლებ.
მე ყვავილებს დაგახვედრებ,
ფერად-ფერად ყვავილებს".

ავტორი მარტივი, მსუბუქი ენით დამაჯერებლად გვიხატავს ჩვენი ქვეყნის მოზარდი თაობის სულიერ განცდებს. სამშობლოსადმი სიყვარულს, მეგობრობის სპეტაკ გრძნობას, ბუნების სილამაზეს, ბავშვთა სამყაროს, მის პატარა მეგობრებს, სურვილსა და მისწრაფებას — იყოს აქტიური მშენებელი ახალი ქვეყნისა. ამ მხრივ წიგნში გამოირჩევიან ლექსები: „ჩემი მერცხლები". „ოცნება". „ლიანას მტრედი", „სამშობლოს სიყვარული" და სხვ. აი გაიზრდება პატარა თინა და „ცას დაიპყრობს ფირუზოვანს ალუმინის ფრთებით" ხოლო ლიანა მტრედს ზრდის. როცა მტრები დაიძრებიან და შემოგვესევიან, ლიანა თავისი მტრედით მზად იქნება. რომ სთქვან: „უყურეთ საფოსტო მტრედს. ის ლიანას მტრედია". პატარა ბიჭიკო სწუხს, რომ რვა წლისა არ არის. უნდა მალე სკოლაში მიაბარონ. ისწავლის კარგად და „მერე ძია ბერიაზე ლამაზ ლექსებს დასწერს". ან კიდევ: პატარა კოლმეურნე ბიჭი ხბოს ზრდის, ეგებ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წაიყვანონ მოსკოვს, იქ კიდევ „ძიამ ნახოს. დიდმა ძიამ გაუღიმოს შორიდან". ეს სურვილები ხომ ჩვენი საყვარელი მოზარდი თაობის ყოველდღიური სურვილებია. ამიტომ წიგნი ინტერესით იკითხება და მოზარდი მკითხველის სიყვარულს იმსახურებს.

„ლიანას მტრედი" კარგად დაწერილი საბავშვო წიგნია. იგი ლამაზად არის გამოცემული მშვენიერი მხატვრული ილუსტრაციებით. მხოლოდ, რატომღაც წიგნზე არ არის აღნიშნული, ვინ არის წიგნის მხატვარი. რუსულ გამოცემებში წიგნის ავტორთან ერთად ყოველთვის იხსენიებენ მხატვარს. ეს მეტ შემოქმედებითს პასუხისმგებლობას გამოიწვევს.

**დავ. შამათავა**

## მსახიობთა საფრონტო ბრიგადები

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ ამას წინათ შავი ზღვის ფლოტში გაგზავნა მსახიობთა ბრიგადა პავლოვას, გურევიჩის, ბელსკის და სხვათა შემადგენლობით. ბრიგადის მუშაობას, რომელსაც მხატვრულ ხელმძღვანელობას უწევდა ამხ. მურატოვი, შავი ზღვის ფლოტელებმა მაღალი შეფასება მისცეს. ამ დღეებში ფრონტზე მიემგზავრება არტისტების მეორე ბრიგადა ვორობიის ხელმძღვანელობით. ბრიგადაში შედიან მსახიობები ფეოდოროვა, ტარასოვა, სკლოვი, ზავრაჟინა, ჩირაძე. საქფილარმონია ფრონტზე გასაგზავნად ამზადებს მესამე ბრიგადასაც.

სარედაქციო კოლეგია:
ო. ეგაძე, გ. ნატროშვილი (პ.-მგ. რედაქტორი), შ. რადიანი, გ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, მ. ჟიაური.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 8—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 9506